ალია

№118/3048/ 1-4 აგვისტო 2014 წ. ფასი 1 ლარი

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

რა აქციები იგეგმება ანაკლიაში „კაზანტიპის“ წინააღმდეგ...





# რა ბრალი უნდა წაუყენონ სააკაშვილს, რომ მის გადმოცემაზე უარი ვერ თქვან?



## რატომ ასაიდუმლოებს პროკურატურა კიწმარიშვილის საქმის გამოძიების შედეგებს?

## რომელ „ნაციონალ“ დეპუტატებზე ალიძვრება სისხლის სამართლის საქმე 7 ნოემბრის გამო?



## თურქეთი მტკვარს საქართველოსკენ აღარ გამოუშვებს



რას აპირებს ხელისუფლება?

# რატომ გახდა აუცილებელი უცხოელი პროკურორების ჩამოყვანა?

საერთაშორისო სამართლის ექსპერტი „ალიასთან“ განმარტავს...



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





## ღარიბაშვილის დაცვამ მინისტრები და ჟურნალისტები დარბაზში ჩაკეტა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სასტუმრო „რადისონ-ში“ იმ პროექტების პრეზენტაციას გაეცნო, რომლებიც შუასაუკუნოვანი ქართული ძეგლების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრის შეხვედრები მედიის ყურადღების ცენტრში ყოველთვის ექცევა. მსგავს შემთხვევაში პრემიერთან გასაუბრება რთულია და ყოველივეს დაცვის სამსახური არეგულირებს.

31 ივლისს ირაკლი ღარიბაშვილის უსაფრთხოების დაცვა იმდენად გაძლიერებული იყო, რომ ჟურნალისტებთან ერთად რამდენიმე მინისტრს საკონფერენციო დარბაზის დატოვების უფლებას არ აძლევდნენ. ჟურნალისტები და მინისტრები დარბაზში 10 წუთის განმავლობაში იყვნენ ჩაკეტილები. ამ დროის მანძილზე გაითიშა მობილური და ინტერნეტ კავშირიც. (ნიუპოსტი)

## ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალი შესაძლოა, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად კვალიფიცირდეს



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქართველოსადმი მეოთხე პერიოდული ანგარიშისთვის მომზადებული ძირითადი შენიშვნები გამოაქვეყნა.

„სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რათა იძულებითი გაუჩინარების, სამოქალაქო მოსახლეობისა და სხვა დაცული პირების მიმართ განურჩეველი და არაპროპორციული ძალის გამოყენების, უკანონო დაკავებების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ქონების დაზიანებისა და ჩამორთმევის ფაქტები დამოუკიდებლად და ობიექტურად იქნეს გამოძიებული, რათა სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი პირები, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად დაისაჯონ, დაზარალებულებს კი სათანადო დახმარება გაეწიოთ, მათ შორის, კომპენსაციის სახითაც... კომიტეტი შეშფოთებულია იმ ნელი წინსვლით, რომელიც წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა გამოვლენისა და მათ პასუხისგებაში მიცემის თვალსაზრისით მიმდინარეობს, რომლებიც უშუალოდ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ მოხდა, მათ შორის საქმეებისა, რომლებიც იძულებით გაუჩინარებას, სამოქალაქო და სხვა დაცული პირების მიმართ განურჩეველი და არაპროპორციული ძალის გამოყენებას, უკანონო დაკავებებს, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, ქონების დაზიანებასა და ჩამორთმევას ეხება, რომლებიც შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც ომის დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

ანგარიშის ბოლოს აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო, რომელიც გამოიძიებს ძალაუფლების გადამეტების, მათ შორის პოლიციელთა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი წამების, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ბრალდებებს, უზრუნველყოფს აღნიშნული საქმეების გამოძიებას დაყოვნების გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემს დამნაშავეებს და, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად დასჯის მათ, ასევე უზრუნველყოფს დაზარალებულთა სათანადო დახმარებას.

„ამ ორგანომ უნდა უზრუნველყოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გამოძიება, რათა არ მოხდეს მსგავსი დანაშაულების იმ მუხლებით კვალიფიცირება, რომლებიც ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს. სახელმწიფომ ასევე უნდა მოამზადოს წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სპეციალისტები“, – ნათქვამია დასკვნაში.

კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ ქვეყანაში არ არსებობს საკმარისი სანქციები დისკრიმინაციის შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად, ასევე, სახალხო დამცველის აპარატი არ არის საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფილი იმისთვის, რომ წარმატებით და ეფექტურად იფუნქციონიროს. (ინტერპრესნიუსი)

## მოსახლეობის საყოველთაო აღმწერის პოზიციაზე 10 000-მდე ვაკანსია ცხადდება

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ფარგლებში „საქსტატი“ აღმწერის პოზიციაზე 10 000-მდე ვაკანსიას აცხადებს. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდება. (news.ge)



## „არც მე, არც სააკაშვილს და არც ჩვენს მეგობრებს ივანიშვილის არ გვეშინია“

თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას თქმით, ხელისუფლება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე დარტყმისთვის ემზადება, რის გამოც ცდილობს, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას ხელი შეუშალოს.

„სამართლებრივი ასლი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა და მისმა მთავრობამ გამოაცხო, ემსახურება აბსოლუტურად სხვა მიზანს. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, შემოდგომაზე მოხდება ტარიფების გაძვირება. იმის გათვალისწინებით, რომ იზრდება უმუშევრობა, ხელისუფლება ემზადება გადამწყვეტი დარტყმისთვის და ამ დარტყმის ობიექტი ტელეკომპანია „რუსთავი 2“ იქნება. სწორედ ამ მიზნით არის დადგმული სპექტაკლი, რომ ხალხის მღელვარების ფონზე, ხელისუფლებას სურს, სხვადასხვა ხრიკებით ხელი შეუშალოს მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას. მინდა ვუთხრა მათ, რომ ეს ქმედება ვერავის ვერ შეაჩერებს. რაც ყველაზე მთავარია, არც მე, არც მიხეილ სააკაშვილს, არც ჩვენს მეგობრებს არ გვეშინია ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის ამ ქმედებების, რადგან მსგავსი ხრიკებით ჩვენ ვერ გაგვაჩერებენ. პროტესტი ახალ ლიდერებს შობს“, – განაცხადა გიგი უგულავამ. (ნიუპოსტი)



## სექტემბრიდან საპარლამენტო კომიტეტების სხდომები თბილისში ჩატარდება




სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტი მუშაობას თბილისში არსებულ შენობაში შეუდგება, სადაც მხოლოდ კომიტეტის სხდომები გაიმართება. რაც შეეხება პლენარულ სხდომებს, მას დეპუტატები ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობაში ჩაატარებენ.

პარლამენტის აპარატის უფროსის, ზურაბ მარაქველიძის განცხადებით, თბილისში გადასასვლელად მზადება გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

გრაფიკის მიხედვით თბილისში თავდაპირველად კომიტეტების აპარატები გადავლენ, ხოლო ამის შემდეგ გადასვლისთვის მზადებას პარლამენტის აპარატის თანამშრომლები დაიწყებენ. (ინტერპრესნიუსი)

## რუსთავი-თბილისის გზაზე ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა




რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალზე, ავტობაზრობის შესასვლელთან ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა. ერთმანეთს „ტოიოტას“ მარკის ორი ავტომანქანა შეეჯახა. თვითმხილველების ინფორმაციით, „ტოიოტა კამრის“ მარკის ავტომობილს ქალი მართავდა, ხოლო „ტოიოტა ისტის“ მარკის ავტომობილში ორი მამაკაცი იჯდა. შეჯახების შედეგად „ტოიოტა ისტის“ მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, დაშავდნენ ორივე მანქანაში მსხდომები. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ისინი რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანა. (ინტერპრესნიუსი)

## „შსს-ს თანამშრომლებმა უგულავას პირადი მეილი უკანონოდ გატეხეს“




თბილისის საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ირაკლი აბესაძე აცხადებს, რომ შსს-ს თანამშრომლებმა თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას სარგებლობაში არსებული პირადი მეილი უკანონოდ გატეხეს.

„ქალაქ თბილისის მერიაში ახალი გუნდისთვის გადაბარების პროცესი მიმდინარეობს. ამ პროცესის ფარგლებში, დავით ნარმანიას სახელის გამოყენებით, მერიაში 2014 წლის 29 ივლისს იმყოფებოდნენ გიორგი აჭარიძე და ირაკლი კლდიაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებმაც ისარგებლეს მერიაში არსებული სისტემებით და უკანონოდ შექმნეს საფოსტო მისამართი „**gigiugulava@tbilisi.gov.ge**“ რომლის გამოყენებითაც, ასევე უკანონოდ გატეხილი იქნა გიგი უგულავას სარგებლობაში არსებული პირადი მეილი, საიდანაც ასევე უკანონოდ დაეუფლნენ ინფორმაციას. ეს არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, პირადი მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა და ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი კრიმინალური მეთოდებით ხდება პოლიტიკური ოპონენტების დევნა და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების შეთითხვნა. აუცილებელია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთოს განცხადება და განმარტება, რა საფუძვლით იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები თბილისის მერიაში, რატომ მოქმედებდნენ უკანონოდ. დავით ნარმანიამ გააკეთოს განმარტება, იყო თუ არა ის ორგანიზატორი ამ დანაშაულებრივი ქმედების, თუ მისი სახელი გამოყენებულ იქნა უბრალოდ ისე, რომ მისთვის არც არავის უცნობებია. პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი ის პირები, ვინც ჩვენ მიერ იქნა დასახელებული“, – აცხადებს აბესაძე.

ამის პასუხად, ნარმანიას პრესსამსახური განცხადებას ავრცელებს.

„კატეგორიულად მოვითხოვთ ბატონ აბესაძისგან, ნუ ავრცელებს ცრუ ინფორმაციას და ნუ შეჰყავს საზოგადოება შეცდომაში. დავით ნარმანიას წარმომადგენლები გარდამავალ პერიოდში თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურებიდან იღებენ მხოლოდ საჯარო ინფორმაციას სამსახურების დებულებების, საშტატო რაოდენობების, სამოქმედო გეგმებისა თუ ბიუჯეტის შესრულების შესახებ. სამწუხაროა, თუ აბესაძემ არ იცის, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება არა თუ არჩეულ მერს, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს“, – ნათქვამია განცხადებაში. აბესაძის ბრალდებებს უარყოფს შსს-ც (ინტერპრესნიუსი)

## გიორგი სიგუას „კაზანტიპის“ ვიცე-პრეზიდენტობა და ხელფასი 100 000 ევროს ოდენობით შესთავაზეს



თანამდებობიდან განთავისუფლებულ საქართველოს ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტის უფროსს, „კაზანტიპის“ პრეზიდენტმა ნიკიტა მარშუნოკმა ფესტივალის ვიცე-პრეზიდენტობა და ხელფასი 100.000 ევროს ოდენობით შესთავაზა. მისი აზრით, გიორგი სიგუა პოლიტიკური სტრუქტურებიდან ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და მიზანდასახული ადამიანია, რომელიც კი მას შეხვედრია. მისი თქმით, სიგუას შესაძლებლობები, ენერგიულობა და შრომისუნარიანობა შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს. – განაცხადა მარშუნოკმა. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



სააკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – ღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ სააკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ სააკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“

# რა ბრალი უნდა წაუყენონ სააკაშვილს, რომ მის გადმოცემაზე უარი ვერ თქვან?



მიხეილ სააკაშვილი ვა-ბანკზე მიდის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგოს. დღეს უებარი წამალი იქნება, რომ მას დაუხურო საინფორმაციო სივრცე და გამოუცხადო აბსოლუტური იგნორი... ტელეკამერების გარეშე სააკაშვილი პოლიტიკური გვამია, მხოლოდ ტელეკამერებთან აქვს მას დიდი გული და ამიტომაცაა, როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე სააკაშვილი „რუსთავი 2“-ს ეჭიდება და ხელიდან არ უშვებს. ჩვენ ვნახეთ ბუდაპეშტიდან მისი კომენტარი, რომ ის პოლიტიკურ თავშესაფარს არ მოითხოვს, თავისუფალი მოქალაქეა და სადაც უნდა, იმ ქვეყანაში გადაადგილდება. ცნობილია, რომ უნგრეთმა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს სასათბურე პირობები შეუქმნა და ამაზე ლევან ბერძენიშვილმა კიდეც იხუმრა, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრსა და მიხეილ სააკაშვილს ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან, გარდა იმისა, რომ ახლო მეგობრები არიანო... და მაინც, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი სააკაშვილზე გამოცხადდება საერთაშორისო ძებნა, როგორ მოიქცევა ოფიციალური ბუდაპეშტი ან სხვა სახელმწიფო, მტკიცებულებების გაგზავნის შემთხვევაში და რა საერთაშორისო ნორმები არსებობს, რომლის წინააღმდეგაც ვერც ერთი სახელმწიფო ვერ წავა?

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კახა კახიშვილი:**

– სააკაშვილის ექსტრადიციის უზრუნველყოფა არც ისე ადვილი საქმე იქნება, როგორც ეს ვიღაცას წარმოუდგენია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსოფლიო პრაქტიკაში არ ყოფილა ექსპრეზიდენტის ინტერპოლის მიერ დაპატიმრებისა და ექსტრადიციის შემთხვევა. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა ხდებოდა პოლიტიკური ლიდერების დაპატიმრება, მაგრამ ისინი იყვნენ ლიდერები, რომლებსაც ედავებოდა მთელი ცივილიზებული სამყარო, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო.

**— კი მაგრამ, საქართველოს მოსახლეობისადმი მან ხომ ჩაიდინა დანაშაული? მას და მის რეჟიმს ედავებიან გენოციდის მოწყობაში, ძალადობაში, არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაში.**

– სააკაშვილი საერთაშორისო სამყაროსთვის არ არის აღქმული იმ დიქტატორად, რომელიც სჩადიოდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ჩემი აზრით, ამიტომაც შეუძლებელი იქნება იმის მიღწევა, რომ ევროპაში ან ამერიკაში სააკაშვილი დააპატიმრონ საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით და მოხდეს მისი საქართველოში ექსტრადიცია. იმასაც გეტყვით, რომ ეჭვი მეპარება, 2007 წლის 7 ნოემბრის საქმე იყოს ბოლო, როგორც ჩანს, ამ ბრალს დაემატება კიდევ რამდენიმე ბრალი. საერთოდაც ვფიქრობ, როდესაც პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება სააკაშვილის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, პირველ რიგში უნდა გამოეკვეთა ისეთი ტიპის დანაშაული, სადაც საკითხი ეხებოდა მასობრივ წამებას, უფლებების მასობრივ დარღვევას. მაგალითად, ყველაზე კარგი იქნებოდა ციხეებში არსებული მწამებლურ სისტემაზე აღეძრა პროკურატურას საქმე და სააკაშვილისთვის ბრალი დაემტკიცებინა. ამ გზით თუ წავიდოდნენ, დასავლეთი თვითონვე აღშფოთდებოდა. ასეთ დროს შესაძლებელი იყო გაჩენილიყო მოლოდინი სააკაშვილის ექსტრადირების შესახებ. სააკაშვილი პასუხისგებაში მიცემულია უფლებამოსილების გადამეტებისთვის. როგორც წესი, ამ ტიპის დანაშაულის მიმართ დასავლეთი არის გულგრილი, რადგან ყველა ქვეყანაში იციან, რომ თანამდებობის პირისთვის დანაშაულის ბრალის წარდგენა არის ზოგადი ხასიათის. ამიტომაც მათ დიდი განცდა არ უჩნდებათ, რომ ამის გამო ყოფილ თანამდებობის პირს ედავო...

**— და მაინც, როგორ ხდება საერთაშორისო ძებნის გამოცხადება?**

– საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება თუ არა, ეს საკითხი თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია არა პროკურატურის დადგენილებაზე, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აღმკვეთი ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს. თუ

**„ინტერპოლს ორი ტიპის გადაწყვეტილების უფლება აქვს, თუ დაადგინა, რომ ძებნის გამოცხადება ეფუძნება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, მაშინ იღებს გადაწყვეტილებას და აცხადებს საერთაშორისო ძებნას. მაგრამ თუ დაადგენს, რომ ძებნილი პირის მიმართ ძებნის შუამდგომლობა მოტივირებულია პოლიტიკური ნიშნით, უფლება აქვს, უარი თქვას საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაზე. მაგრამ თუკი ინტერპოლმა ჩათვალა, რომ არ არის პოლიტიკური დევნის ნიშნები და გამოაცხადა ძებნა მიხეილ სააკაშვილზე და ვთქვათ, დააკავა, ამის შემდეგ მისი ექსტრადიციის საკითხს წყვეტს იმ ქვეყნის სასამართლო, სადაც ბრალდებული იქნება დაკავებული“**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „შესაძლოა, ლაშა თორდიას მიმართ იმპიჩმენტი განხორციელდეს“



საუბრსიას უმრავლესობის ლიდერის, გიორგი ვოლსკის გამცხადებით, „იმ შემთხვევაში თუკი აუდიტის სამსახურის საქმიანობაში კრიმინალის ფაქტები დაფიქსირდება, შეიძლება ლაშა თორდიას მიმართ იმპიჩმენტი განხორციელდეს“.

„პარლამენტის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ არადამაკმაყოფილებლად შეფასდეს აუდიტის სამსახურის საქმიანობა, ნიშნავს იმას, რომ პროკურატურაც მათ შორის და სხვა დაინტერესებული უწყებებიც ვალდებული არიან, რეაგირება მოახდინონ ამაზე.

იმპიჩმენტის გარკვეული პირობები არსებობს, რომელიც გაწერილია კონსტიტუციაში. ასე რომ, დაველოდოთ რეაგირებას შესაბამისი უწყებიდან, მათ შორის პროკურატურიდან“, – განაცხადა ვოლსკიმ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გასაღებისთვის ორი პირი დააკავეს



საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნენ მიცემული შპს „გეო ექსპორტი“-ს, შპს „კავკასია-საქართველო“-ს და შპს „ATM BATUMI“-ს დირექტორები.

გამოძიებით დადგინდა, რომ ზემოხსენებული საწარმოების ხელმძღვანელებმა და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირებმა, სხვადასხვა მეწარმე სუბიექტებისგან გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, თურქეთის რესპუბლიკაში შეაგროვეს საქართველოში იმპორტისთვის განკუთვნილი ტვირთი, რომელსაც ყალბი ინვოისის საფუძველზე შეუმცირეს თვითღირებულება და საქართველოში იმპორტირებისას მოახდინეს მისი განბაჟება თავიანთ საწარმოზე. აღნიშნულის შემდეგ კი ყალბი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე მოახდინეს რეალურ მეპატრონეზე გადაწერა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მე-2 ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

სააკაშვილს სასამართლო არ შეუფარდებს საპატიმრო აღმკვეთ ღონისძიებას, ამ შემთხვევაში თეორიულადაც კი წარმოუდგენელია სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება. სამართლებრივი პროცედურა ითხოვს შემდეგს: როდესაც მიმალვაში მყოფი პიროვნება დაუსწრებლად მიეცემა პასუხისგებაში, პროკურატურა მსჯელობს აღმკვეთი ღონისძიების შესახებ და ეს არის პატიმრობა. ვინაიდან პირი არის მიმალვაში, პროკურატურა შედის სასამართლოში პატიმრობის მოთხოვნით, თუ სასამართლო პროკურატურის არგუმენტებს გაითვალისწინებს და ბრალდებას შეუფარდებს პატიმრობას, ამ შემთხვევაში გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება ბრალდებულის ძებნილად გამოცხადების შესახებ. ძებნის განხორციელება ევალება შსს-ს, რომელიც პირველ ეტაპზე ეძებს საქართველოში, მას შემდეგ, რაც შსს მოიპოვებს ცნობას, რომ ბრალდებულმა პირმა გადალახა საზღვრები, ინფორმაციას უგზავნის ძებნის ინიციატორს, ეს უკანასკნელი მიმართავს პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რათა უზრუნველყოს ამ ბრალდებულის მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადება. საერთაშორისო დეპარტამენტი აგზავნის შესაბამის მასალებს ინტერპოლის ბიუროში, რის შემდეგაც ინტერპოლის საერთაშორისო ბიურო ამოწმებს, რამდენად დასჯადია ბრალდებულის მიმართ ინკრიმინირებული დანაშაული, ევროპულ ქვეყნებში. ამავდროულად სწავლობს, ხომ არ არის მოთხოვნა გამოწვეული პოლიტიკური, რასობრივი, ან სხვა საფუძვლები. ინტერპოლს ორი ტიპის გადაწყვეტილების უფლება აქვს, თუ დაადგინა, რომ ძებნის გამოცხადება ეფუძნება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, მაშინ იღებს გადაწყვეტილებას და აცხადებს საერთაშორისო ძებნას. მაგრამ თუ დაადგენს, რომ ძებნილი პირის მიმართ ძებნის შუამდგომლობა მოტივირებულია პოლიტიკური ნიშნით, უფლება აქვს უარი თქვას საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაზე. მაგრამ, თუკი ინტერპოლმა ჩათვალა, რომ არ არის პოლიტიკური დევნის ნიშნები და გამოაცხადა ძებნა მიხეილ სააკაშვილზე და ვთქვათ, დააკავა, ამის შემდეგ მისი ექსტრადიციის საკითხს წყვეტს იმ ქვეყნის სასამართლო, სადაც ბრალდებული იქნება დაკავებული. თქვენ კარგად ხედავთ რამდენად რთული პროცედურაა. როგორც წესი, ასეთი რანგის პოლიტიკოსების მიმართ, თუ საქმე არ გვაქვს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, ის ქვეყანა არ იღებს გადაწყვეტილებას პირის ექსტრადაციის საკითხზე. ამის იმედი აქვს სააკაშვილს და ამიტომაც არ არის იმ განცდებში, რომ შესაძლოა ვინმემ დააკავოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილი ჩართავს მთელ თავის სამეგობრო წრეს, ამავდროულად, ერთიანი „ნაციონალური მოძრაობა“ აგზავნის წერილებს საერთაშორისო დონეზე, როგორ იდევნებიან მათი თანაგუნდელები, ზოგიერთი ყოფილი თანამდებობის პირის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი და ამ მეთოდებით „ნაციონალები“ პროცესების დისკრედიტაციას ახდენენ. ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო პროცესები დაიწყება მას შემდეგ, როცა პროკურატურა გადაწყვეტს, თუ როდის შედის შუამდგომლობით სასამართლოში, სააკაშვილის, კეზერაშვილის, ადეიშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების მოთხოვნის შუამდგომლობით. სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება საკვანძო, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენი სასამართლო ბოლომდე დამოუკიდებელი არ არის. დღეს სასამართლოში არის ჯგუფი, რომელიც ემსახურება „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, თუმცა ასევე არის ჯგუფი, რომელიც ემსახურება „ქართული ოცნების“ ინტერესებს, რადგან მათ აქვთ განცდა, რომ ამით შეინარჩუნებენ მოსამართლის თანამდებობებს, ისეთი მოსამართლეებიც არიან, რომლებიც ცდილობენ საბოლოოდ გახდნენ დამოუკიდებლები როგორც „ნაცმოძრაობისგან“, ასევე „ქართული ოცნებისგან“, ასე რომ, მნიშვნელოვანია, რომელი ჯგუფის მოსამართლე განიხილავს სააკაშვილის საქმეს. მოგეხსენებათ, რომ საქმეების განაწილების სისტემა სასამართლოში არ არსებობს, მოსამართლეზე საქმის გადანაწილების პროცესში დიდ როლს თამაშობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, მე კითხვას ასე დავსვამდი, – ექნება თუ არა ამ საქმეს პერსპექტივა, თუნდაც ინტერპოლში გადაიგზავნოს მასალები დღევანდელი სასამართლოს პირობებში.



**„ასეთი რანგის პოლიტიკოსების მიმართ, თუ საქმე არ გვაქვს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, ის ქვეყანა არ იღებს გადაწყვეტილებას პირის ექსტრადაციის საკითხზე. ამის იმედი აქვს სააკაშვილს და ამიტომაც არ არის იმ განცდებში, რომ შესაძლოა, ვინმემ დააკავოს“**



**„დღეს სასამართლოში არის ჯგუფი, რომელიც ემსახურება „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, თუმცა ასევე არის ჯგუფი, რომელიც ემსახურება „ქართული ოცნების“ ინტერესებს, რადგან მათ აქვთ განცდა, რომ ამით შეინარჩუნებენ მოსამართლის თანამდებობებს, ისეთი მოსამართლეებიც არიან, რომლებიც ცდილობენ, საბოლოოდ გახდნენ დამოუკიდებლები როგორც „ნაცმოძრაობისგან“, ასევე „ქართული ოცნებისგან“. ასე რომ, მნიშვნელოვანია, რომელი ჯგუფის მოსამართლე განიხილავს სააკაშვილის საქმეს“**

**— კი მაგრამ, არსებობს 27 ათასი ფაილი, სადაც ასახულია ადამიანების წამება, სექსუალური ძალადობა... სააკაშვილის რეჟიმი მიმართული იყო ძალადობაზე, ეს მასალები არაერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა ნახა, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა გაეკეთებინა სააკაშვილს ამაზე მეტი, რომ მის გამო შეწყვიტონ აღშფოთებული განცხადებების კეთება.**

– რასაც გიპასუხებთ, შეიძლება არაპოპულარულად ჟღერდეს, მაგრამ ვიმეორებ, როცა საკითხი ეხება პოლიტიკოსს, ევროპასა და ამერიკაში პოლიტიკურად წყვეტენ ამ საკითხს. თუ ევროპა უკრაინაში მიესალმებოდა უკრაინის კონსტიტუციის გვერდის ავლით იანუკოვიჩის იმპიჩმენტს, თქვენ გახსოვთ, საქართველოში ითხოვდნენ, რომ სააკაშვილს ბოლომდე ამოეწურა საპრეზიდენტო ვადა. შეიძლება ოპონენტმა განაცხადოს, კი მაგრამ, იანუკოვიჩი და სააკაშვილი ერთი და იგივე დონის პოლიტიკოსები არ არიან? რა თქმა უნდა, არა... უკრაინის ხელისუფლებამ ცხელ კვალზე აჩვენა, რა ტიპის დანაშაულები ჰქონდა ჩადენილი იანუკოვიჩს, რაც წელიწადი და 8 თვის განმავლობაში ვერ მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“, ამიტომაც დღეს შესაძლებელია, ვიღაცებს ეჭვი გაუჩნდეთ, თუ ასეთი ტიპის დანაშაულებს ჰქონდა ადგილი, რატომ არ არის ამის გამო პასუხისგებაში მიცემული ქვედა რგოლების წარმომადგენლები და რატომ იწყებს ზემოდან საკითხის განხილვას. როცა საქმე ეხება სისტემურ დანაშაულს, აქ უკვე უტყუარი მტკიცებულებები უნდა დაიდოს. დადასტურებული უნდა იყოს, რომ ორგანიზებულ დამნაშავე პირთა ჯგუფმა წინასწარი განზრახვით ჩაიდინა დანაშაული. ამ მტკიცებულებების მოპოვება ურთულესი პროცესია. გავითვალისწინოთ, რომ წელიწადის და 8 თვის შემდეგ ეს არის პირველი საქმე, რის გამოც სააკაშვილი პასუხისგებაშია მიცემული, სადაც სისტემური, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულზეა ლაპარაკი, რაც თავისთავად მოითხოვს მყარ მტკიცებულებებს. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ დაუშვა რამდენიმე სტრატეგიული შეცდომა. პირველი საქმეები იყო ზუსტად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ პროკურატურის შეცდომები დაშვებული, რომელიც დასრულდა გამამართლებელი განაჩენის კასკადით, შეგახსენებთ მერიის 21 თანამშრომლის დაკავებას რასმუსენის ვიზიტის დროს, რაზეც შემდგომში თქვეს, რომ ეს იყო გასეირნება, რა თქმა უნდა, ასეთმა ფაქტებმა ნაწილობრივ დასავლეთის თვალში დისკრედიტაციის ფორმა მიიღო. ამიტომაც, ჩემი აზრით, დღეს უნდა მიიღონ მყისიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. არ ვიცი, რა ამოცანა აქვს ამ ხელისუფლებას. თუ საქმე მდგომარეობს იმაში, რომ ნამდვილად უნდა იქნეს სააკაშვილის ექსტრადირება და საქართველოს სასამართლოს წინაშე მან აგოს პასუხი, თუ ამ ხელისუფლების ამოცანაა, რომ სააკაშვილი ვერ ჩამოვიდეს საქართველოში მანამ, სანამ ხელისუფლებაში იქნება „ქართული ოცნება“. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა ძალიან ზომიერი განცხადება, ამიტომაც ამ ზომიერმა განცხადებამ ხელისუფლება არ უნდა მოადუნოს, პირიქით, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს ზომიერი განცხადება დარჩეს ზომიერ განცხადებებად და მას მსვლელობა არ უნდა მიეცეს.



**„მოსამართლეზე საქმის გადანაწილების პროცესში დიდ როლს თამაშობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, მე კითხვას ასე დავსვამდი, – ექნება თუ არა ამ საქმეს პერსპექტივა, თუნდაც ინტერპოლში გადაიგზავნოს მასალები დღევანდელი სასამართლოს პირობებში“**

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჩვენს პროდუქციას უფრო მეტი გასავალი ევროპულ ბაზარზე ექნება“



თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შეჩერებაში ტრაგიკული არაფერია.

„ჩემი აზრით, ეს ფაქტი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას უკავშირდება და რუსეთმა ეს დეკლარირებულადაც განაცხადა. ჩვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით ვიხელმძღვანელებთ. ორივე მხარე არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. აქედან გამომდინარე, ამ რეგულაციებით მოხდება ჩვენი ურთიერთობების გაგრძელდება. მგონია, რომ მომავალში ჩვენს პროდუქციას უფრო მეტი გასავალი ექნება ევროპულ ბაზარზე. ასოცირების შეთანხმება ამის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ორიენტირებული უნდა ვიყოთ ახალ ბაზრებზე“, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტმა 280 პატიმარი შეიწყალა



პრეზიდენტმა 280 პატიმრის შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო. მათგან 8 ქალი და 10 არასრულწლოვანია. შეწყალებული 280 მსჯავრდადებულიდან 169 განთავისუფლდება. დანარჩენ 111 მსჯავრდადებულს კი სასჯელი შეუმცირდა.

შეწყალების კომისიამ სულ 2743 საქმე განიხილა. (ნიუპოსტი)



# რატომ გახდა აუცილებელი უცხოელი პროკურორების ჩამოყვანა?

## საერთაშორისო სამართლის ექსპერტი „ალიასთან“ განმარტავს...

იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო სამართლის დოქტორმა, პროფესორმა პაატა ცნობილაძემ „ფეისბუკით“ ასეთი სტატუსი გაავრცელა: „ზოგიერთ ჩემს კოლეგას ვერ დავეთანხმები, რომლებიც უცხოელი პროკურორების ჩამოყვანას უარყოფითად აფასებენ.

**„ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იმთავითვე ჩამოყალიბდეს სწორი საგამოძიებო სტრატეგია მიუკერძოებელი ფონით, რათა თავიდან იქნას აცილებული წინა გახმაურებულ საქმეებზე დაშვებული ბაკქანალია და გაუთავებელი მითქმა-მოთქმა, რომ აი, ივანიშვილმა შეუკვეთა ამის დაჭერა, აი, ღარიბაშვილმა იძია შური და ასე შემდეგ“**

ჩემი აზრით, ეს სწორი მიდგომაა და სასარგებლო იქნება საქმეებზე ობიექტური გამოძიების ჩასატარებლად.

ჯერ ერთი, ესენი არ არიან ის ხალხი, ვისაც რამეს შეუკვეთ და ამ შეკვეთას საკუთარ ავტორიტეტსა და რეპუტაციას ამჯობინებენ. მეორე, ვინაიდან ყოფილ მაღალჩინოსანთა საქმეების მიმართ ინტერესი ერთობ მაღალია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა არენაზე, სანდოობა გამოძიებაში მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ მკვეთრად მოიმატებს.

მესამე, მოიხსნება პიარკომპანიების მიერ ხელოვნურად გაჯერებული პროპაგანდა, რომ ვიღაცის მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდება და თანდათანობით დამკვიდრდება შეხედულება, რომ ეს არის არა პოლიტიკური, არამედ ჩვეულებრივი სისხლისსამართლებრივი დევნა. ამას კი სწორედაც რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მეოთხე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში კარგი სპეციალისტები არ არსებობენ. პირიქით, მე ვიტყოდი, რომ არიან საუკეთესო პროფესიონალები, რომლებიც ან განზე გადგნენ იმ პროცესებისგან, რაც ხდებოდა, ან თავად ნაცებმა მოიცილეს, როგორც დაუმორჩილებელი კადრები... თუმცა, ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეჭვი მეპარება, რომ ბოლომდე ობიექტური იყოს გამოძიება მათი მონაწილეობით, ჩემი ჩათვლით, ძველ, უსამართლო წყენათა გამო“.

**„ალია“ პაატა ცნობილაძეს დაუკავშირდა:**

**- ბატონო პაატა, უცხოელი პროკურორები რომ არ ჩამოგვეყვანა და ჩვენს პროკურორებს, მყარი მტკიცებულებებით წარედგინა სააკაშვილისთვის ბრალი, უფრო ხმამაღალი განცხადებები გაკეთდებოდა უცხოეთიდან, რომ ეს პოლიტიკური დევნაა? ანუ უცხოელი პროკურორები იმისთვის დაგვჭირდა, რომ ერთგვარად თავი დაგვეზღვია?**

– სიმართლე გითხრა, ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ ამ პროკურორების მოწვევასა და ჩამოყვანაში. პირიქით, უცხო თვალით დანახული ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმე მხოლოდ კეთილშობილდება და სისრულის მაქსიმალურ კონდიციას უახლოვდება. თუმცა, არც ის ვიცით, კონკრეტულად, რა მისიით ჩამობრძანდნენ ეს ადამიანები, მაგრამ, სავარაუდოდ, სწორედაც რომ ყოფილ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულ საქმეებზე კონსულტაციების გასავლელად. მათი გამოცდილება, ავტორიტეტი და პროფესიული შეუვალობა, უდავოდ წაადგება ამ კონკრეტულ საქმეებზე სამართლის არათუ დადგენას, არამედ შემდგომ ეტაპებზე ამ მასალების უტყუარობის რევიზიას ნდობის თვალსაზრისით. მათი სტუმრობის სხვა აუცილებელ მიზეზს ამ ეტაპზე, ვერ ვხედავ.



**„ჩვენი რესურსითაც არის შესაძლებელი სამხილების შეგროვებაც და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვებაც, მაგრამ მოპოვებული მასალების სანდოობა და მიუკერძოებლობის დამტკიცება ამ პიარ-საინფორმაციო ომის ფონზე, ერთობ გაჭირდება, რაც საშუალებას მისცემს იგივე სააკაშვილს, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინოს თავი უცოდველ კრავად, რომელსაც დევნიან მხოლოდ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო“**

**— კი მაგრამ, ადგილობრივი რესურსიც ხომ გვაქვს, საკმაოდ მაღალკვალიფიციური, რომელთაგანაც ბევრი, სააკაშვილის დროიდან პოლიტიკური მოსაზრების გამო სახლში ზის?**

– რაც შეეხება ადგილობრივი რესურსის გამოყენებას, გეთანხმები, ამის რესურსი მართლაც არსებობს. ჩვენ გვყავს სისხლის სამართლის საუკეთესო სპეციალისტები, რომელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, კადრს მიღმა რჩება. მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. მოგეხსენებათ, ამ საქმეების მიმართ გამძაფრებულია არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ყურადღება საზოგადოების მხრიდან, არამედ ასევე საერთაშორისო ინტერესიც, რომელიც არ არის ერთგვაროვანი. „ნაციონალი“ ბელადები არანაკლებ თანხებს ხარჯავენ სხვადასხვა პიარ ჯგუფებთან სათანამშრომლოდ, რათა ეს პროცესი წარმოაჩინონ პოლიტიკურ დევნად. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იმთავითვე ჩამოყალიბდეს სწორი საგამოძიებო სტრატეგია მიუკერძოებელი ფონით, რათა თავიდან იქნას აცილებული წინა გახმაურებულ საქმეებზე დაშვებული ბაკქანალია და გაუთავებელი მითქმა-მოთქმა, რომ აი, ივანიშვილმა შეუკვეთა ამის დაჭერა, აი, ღარიბაშვილმა იძია შური და ასე შემდეგ. რასაკვირველია, ჩვენი რესურსითაც არის შესაძლებელი სამხილების შეგროვებაც და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვებაც, მაგრამ მოპოვებული მასალების სანდოობა და მიუკერძოებლობის დამტკიცება ამ პიარ-საინფორმაციო ომის ფონზე, ერთობ გაჭირდება, რაც საშუალებას მისცემს იგივე სააკაშვილს, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინოს თავი უცოდველ კრავად, რომელსაც დევნიან მხოლოდ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. აი, მოწვეული უცხოელი კოლეგების მონაწილეობა ამ პროცესში კი ბევრწილად უზრუნველყოფს ამ ორ მნიშვნელოვან გარემოებას, მით უფრო, მათი შეულახავი საერთაშორისო რეპუტაციის გათვალისწინებით. პრინციპში, თქვენ სწორად შენიშნეთ ამ თვალსაზრისით, რომ იქმნება გარკვეული დაზღვევის მექანიზმიც.

**— პროკურატურა სავსეა „ნაციონალების“ კადრებით. შეგახსენებთ, კეზერაშვილის ექსტრადირება იმიტომ ვერ მოხდა, რომ აქედან სუსტი მტკიცებულებები შეგნებულად გაიგზავნა და**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### კიდევ ერთი ხანძარი „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურთან



გორში „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურთან ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი ბალახს გაუჩნდა და პროფილაქტიკის შენობაზე გადავიდა. ადგილზე მობილიზებულები იყვნენ სახანძრო და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები. შემთხვევისას არავინ დაშავებულა.

გორის სახანძრო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის მამუკა იმერლიშვილის განცხადებით, საშიშროება იყო, რომ ცეცხლი ბენზინგასამართ სადგურზეც გადასულიყო.

„გამოვიყვანეთ სამი ერთეული ტექნიკა, ცეცხლი ეკიდა ბალახს, თუმცა საშიშროება იყო გადასულიყო ავტოგასამართ სადგურზე, ოპერატიულად გამოვცხადდით შემთხვევის ადგილზე და ხანძრის კოკალიზება დროულად შევძელით. რამ გამოიწვია ხანძარი ამას გამოძიება დაადგენს გამოვიძახეთ პოლიცია“, – ამბობს იმერლიშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### შსს ეკატერინე კერესელიძის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს



შინაგან საქმეთა სამინისტრო 30 ივლისს მესტიაში, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ეკატერინე კერესელიძის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

„მესტიაში, უბედური შემთხვევის შედეგად, შსს-ს ადმინისტრაციის უფროსი ეკატერინე კერესელიძე დაიღუპა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდართან დაკავშირებით და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მესტიაში, სასტუმრო „თეთნულდის“ დირექტორ თეზო ჯაფარიძესთან ერთად 30 წლის ეკატერინე კერესელიძე გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, კერესელიძე და ჯაფარიძე კვადროციკლით სეირნობდნენ, რა დროსაც ხევში გადაიჩეხნენ.

ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

**უცხოელ მოსამართლეს სასაცილოდაც არ ეყო. როგორ ფიქრობთ, ამ ხალხს რატომ არ ცვლიან?**

– ვფიქრობ, რომ იმ პერიოდში ისარგებლეს არსებული ვითარებით და არც ისე მკაცრი კონტროლის ფონზე ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ხელმძღვანელის მიერ მოხერხდა ის, რაც თქვენ ბრძანეთ კეზერაშვილთან დაკავშირებით. მაგრამ ახლა აშკარად სხვა ვითარებაა და არ მგონია, ვინმეს ასეთი ნომერი გაუვიდეს, ვისი კადრიც არ უნდა იყოს. რაც შეეხება ცვლილებებს, ალბათ, ეტაპობრივად დაიწყება სისხლის გადასხმა ამ სისტემაშიც, თუმცა ეს არ იქნება იოლი პროცესი. არა იმიტომ, რომ ვინმე შეეწინააღმდეგება, არამედ იმიტომ, რომ ადეიშვილმა პროკურატურას დაუკარგა მისი შინაარსი, მისი ფუნქცია.

**„ყველა თაობაში მოიძებნება თავისი საქმის დიდოსტატები და სიმართლე გითხრა, გული მწყდება, რომ მხოლოდ იმის გამო არ ამუშავებენ, რომ პირადად არ იცნობენ, ან ხელისუფლებაში მოკალათებული ზოგიერთი მდაბიო შეგნების ადამიანის მიერ კონკურენციის შიშით შეგნებულად ხდება მათი დაბლოკვა. თუმცა, მაინც მგონია, რომ ამ ადამიანების გამოყენების საჭიროება მალე დადგება დღის წესრიგში“**

**— რას გულისხმობთ?**

– აბა, გაიხსენეთ, დამკვიდრებული სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე, ფაქტობრივად, უარი ითქვა სრულფასოვან გამოძიებაზე, ესე იგი, გამომძიებლების ყოლის აუცილებლობაზე, რადგან პროკურატურის ძირითადი საქმე იყო საპროცესო გარიგება, ან დაუსაბუთებელი ბრალით ნებისმიერი ხერხით ადამიანის ციხეში გაშვება. რად უნდოდა ამ ორ საქმიანობას გამოძიება. შესაბამისად, გავიდა ძალიან დიდი ვადა, როცა ალარ გაიზარდა გამომძიებელი, ალარ დაიხვეწა მისი პრაქტიკა, ალარ დასჭირდა საქმისადმი შემოქმედებითი და პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირება. აქედან გამომდინარე, დაკნინდა და გადაგვარდა ამ პროფესიის მნიშვნელობაც. აი, ეს გააკეთა სააკაშვილ-ადეიშვილის განხორციელებულმა რეფორმამ პროკურატურაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იქ საერთოდ არ მოიძებნებიან ადამიანები, ვისი დატოვებაც არ შეიძლება. უბრალოდ, ალბათ, მოკლე დროის საკითხია ახალი კადრების მოძიება და ბინძურ საქმეებში ჩართული ყოფილი პროკურორებისა და გამომძიებლების სისტემიდან გაშვება. პროფები გაცილებით ნაკლები გვყავს, ვიდრე პროფანები, მაგრამ ვინც გვყავს, არ არის სათანადოდ მათი შესაძლებლობები რეალიზებული. ყველა თაობაში მოიძებნება თავისი საქმის დიდოსტატები და სიმართლე გითხრა, გული მწყდება, რომ მხოლოდ იმის გამო არ ამუშავებენ, რომ პირადად არ იცნობენ, ან ხელისუფლებაში მოკალათებული ზოგიერთი მდაბიო შეგნების ადამიანის მიერ კონკურენციის შიშით შეგნებულად ხდება მათი დაბლოკვა. თუმცა, მაინც მგონია, რომ ამ ადამიანების გამოყენების საჭიროება მალე დადგება დღის წესრიგში.





**„საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ჩვენთვის გამოძიების წარმოება არავის აუკრძალავს, არც სახელმწიფო დეპარტამენტს და არც ევროკავშირს. უბრალოდ, მოვალეობას იხდიან და მაინც გვიგზავნიან მესიჯს, რომ ობიექტურად იყოს გამოკვლეული ყველაფერი და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ან შურისძიების ნიადაგზე არ მოხდეს ვინმეს პასუხისგებაში მიცემა“**

**— „პოსტში“ წერთ, სანდო იქნება, როცა უცხოელი პროკურორები გახმაურებულ საქმეებზე იმუშავებენო. რა შუაშია სანდოობა? მტკიცებულებათა სიმყარეზე არაა ეს დამოკიდებული?**

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წინ გადავდგით ნაბიჯები საერთაშორისო თანამეგობრობასთან დასაახლოებლად, ქართულ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სისტემას კიდევ ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი და საკუთარი თავი დასამკვიდრებელი. აქედან გამომდინარე, ნდობაც ჯერჯერობით, რა დასამალია და დაბალია. ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული შეხედულება, რომ სამართალი საქართველოში ინერციით არის მოქცეული პოლიტიკური კონიუნქტურის ქვეშ, გასაგებია, რომ ჩვენ დღეს ვხედავთ სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ, ჯანსაღს, გაცილებით ცივილიზებულსა და პროგრესულს, მაგრამ იქ მაინც ეჭვის თვალით უყურებენ ამ ყველაფერს. იმისთვის რომ აბსოლუტური ნდობა მოიპოვო, დრო სჭირდება და იმ პერიოდისგან სრულიად განსხვავებული მოდგომები. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ მტკიცებულებათა სიმყარეც დამატებით გარანტიებს საჭიროებდეს მეტი დამაჯერებლობისთვის.

**„გავიდა ძალიან დიდი ვადა, როცა ალარ გაიზარდა გამომძიებელი, ალარ დაიხვეწა მისი პრაქტიკა, ალარ დასჭირდა საქმისადმი შემოქმედებითი და პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირება. აქედან გამომდინარე, დაკნინდა და გადაგვარდა ამ პროფესიის მნიშვნელობაც. აი, ეს გააკეთა სააკაშვილ-ადეიშვილის განხორციელებულმა რეფორმამ პროკურატურაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იქ საერთოდ არ მოიძებნებიან ადამიანები, ვისი დატოვებაც არ შეიძლება. უბრალოდ, ალბათ მოკლე დროის საკითხია ახალი კადრების მოძიება და ბინძურ საქმეებში ჩართული ყოფილი პროკურორებისა და გამომძიებლების სისტემიდან გაშვება“**

**— ასევე წერთ, უცხოელების ჩამოყვანით მოიხსნება საკითხი, რომ „ნაციონალი“ მაღალჩინოსნების დევნა პოლიტიკური არ არის და წმინდა სამართლებრივია. რანაირად, მილიონები სწორედ იმაში აქვთ ლობისტებისთვის გადახდილი „ნაციონალებს“, რომ იყვირონ და განცხადებები აკეთონ.**

– ერთ-ერთი ნაბიჯი სწორედ ასეთი რეპუტაციისა და ავტორიტეტის მქონე ხალხის მონაწილეობაა. თავად ამჩნევთ, სააკაშვილის მხარდამჭერთა რიცხვი მსოფლიოში დღითი დღე მცირდება. მართალია, კეთდება რაღაც განცხადებები, მაგრამ ეს უკვე კერძო განცხადებებს უფრო წააგავს. დასრულდება გამოძიება და მერე ყველასთვის ნათელი იქნება ყველა მასალა. მერწმუნეთ, თუ გამოძიება კარგად იმუშავებს, კრიმინალის მხარდასაჭერად თავს არავინ მოიკლავს.

**— სააკაშვილს რაზეც წაუყენეს ბრალი, ანუ 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებზე, ეს რატომ შეიცხადა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა? 2007 წელს რომ გადამეტებული ძალა იქნა გამოყენებული, ეს ხომ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც ეწერა?**

– გამოძიებამ უნდა დადოს შესაბამისი მასალები და დეპარტამენტიც გააკეთებს შესაბამის განცხადებას, ან საერთოდ არ გააკეთებს ამას.

**„ქართული სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სისტემას კიდევ ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი და საკუთარი თავი დასამკვიდრებელი. აქედან გამომდინარე, ნდობაც ჯერჯერობით, რა დასამალია და დაბალია. ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული შეხედულება, რომ სამართალი საქართველოში ინერციით არის მოქცეული პოლიტიკური კონიუნქტურის ქვეშ, გასაგებია, რომ ჩვენ დღეს ვხედავთ სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ, ჯანსაღს, გაცილებით ცივილიზებულსა და პროგრესულს, მაგრამ იქ მაინც ეჭვის თვალით უყურებენ ამ ყველაფერს. იმისთვის რომ აბსოლუტური ნდობა მოიპოვო, დრო სჭირდება და იმ პერიოდისგან სრულიად განსხვავებული მოდგომები. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ მტკიცებულებათა სიმყარეც დამატებით გარანტიებს საჭიროებდეს მეტი დამაჯერებლობისთვის“**

**— ასევე ევროკავშირიც შეშფოთდა. ეშტონსა და ფულეს ბერლუსკონიზე და სარკოზიზე არ გაუგიჟებიათ თავი და სააკაშვილზე რატომ დაფაცურდნენ?**

– მე მგონი, ეს ბუნებრივი რეაქციაა. საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ჩვენთვის გამოძიების წარმოება არავის აუკრძალავს, არც სახელმწიფო დეპარტამენტს და არც ევროკავშირს. უბრალოდ, მოვალეობას იხდიან და მაინც გვიგზავნიან მესიჯს, რომ ობიექტურად იყოს გამოკვლეული ყველაფერი და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ან შურისძიების ნიადაგზე არ მოხდეს ვინმეს პასუხისგებაში მიცემა.

**— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ასპარეზზე, რომ ეს შეშფოთებები და აღშფოთებები შეწყდეს და დაიჯერონ, რომ სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურა“ არ იყო?**

– მე მგონი, აქაც პროკურატურა უნდა დადგეს მოწოდების სიმაღლეზე. ყვირილი და ყელის გლეჯა, არიქა, სააკაშვილი ასეთი და ისეთი იყოო, ნაკლები ეფექტის მომტანი იქნება. თუმცა ამაზე საუბარი მაინც უნდა გაგრძელდეს, რათა ჩანდეს საზოგადოების განწყობა. დადონ მასალები და ამაში თავად დარწმუნდებიან. ესეც ბუნებრივი პროცესია. ამ შემთხვევაში აზრის შეცვლა, როგორც წესი, არ უჭირთ ხოლმე.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკავშირი მიხეილ სააკაშვილის საქმეს ეხმაურება



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალის წარდგენას ევროკავშირი განცხადებით ეხმაურება.

„გამომდინარე იქიდან, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას, გამოძიება უნდა იყოს გამჭვირვალე, პროპორციული, პოლიტიკური მოტივაციისგან თავისუფალი და მკაცრად მიესადაგებოდეს სამართლებრივ პროცესს. ევროკავშირი დააკვირდება ამ და სხვა გამოძიებას, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების ყოფილ პირებსა და ამჟამინდელ ოპოზიციონერებთან დაკავშირებით მიმდინარეობს.

ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ავალდებულებს, იყოს ისეთი საერთო ღირებულებების ერთგული, როგორიც კანონის უზენაესობა და კარგი მართვაა. ჩვენ ვთხოვთ ყველა მხარეს, გვერდი აუარონ წარსულ კონფლიქტებს და ყურადღება ქვეყნის მომავალზე გაამახვილონ.

საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რასას შორსმჭვრეტელი ლიდერობა სჭირდება, რომელიც პოლარიზებული პოლიტიკური მოდელის დასამსხვრევად მზად იქნება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## რუსი ექსპერტების შეფასება საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეწყვეტაზე



რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოსთან 1994 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით რუსი ექსპერტები ეხმაურებიან.

„ეს გადაწყვეტილება ადეკვატური პასუხია, საუბარია სუფთა ტექნიკურ გადაწყვეტილებაზე. პოლიტიკური მხარე ამ საკითხში ზუსტად იმ დოზით ფიგურირებს, რა დოზითაც მას საქართველოს ხელისუფლება შეიტანს. გასაგებია, რომ საქართველომ უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად დიდი ხნის ოცნება შეისრულა და ევროკავშირთან ასოცირებას მიაღწია, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკოსებმა უნდა გაიგონ, რომ კონკრეტულ ქმედებებს კონკრეტული შედეგები მოჰყვება. რუსეთი ვერ დაუშვებს საკუთარ ტერიტორიაზე უხარისხო, ევროპული ან ევროპულად გასაღებული ჩინური პროდუქციის შეტანას და ამით საკუთარი მეწარმეებისთვის ზარალის მიყენებას, ამიტომ თავისუფალი ვაჭრობის შეჩერება ტექნიკური საკითხია“, – აცხადებენ ექსპერტები. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# როमელ „ნაციონალ“ დეპუტატებზე ალიძვრება სისხლის სამართლის საქმე 7 ნოემბრის გამო?



„რატომ დაიძრა მთელი არმია, ვასიკო მაღლაფერიძის თამადობით, რატომ გარბის ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად?.. რატომ დაიწყო „ჩაშვება“ მაინცდამაინც ახლა? ეს ჩვეულებრივი კითხვაა, რომელიც ნებისმიერს გაუჩნდება. ვასიკო, ასევე, ბევრ ინფორმაციას ფლობს ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერჯერობით დუმს. რაკი ახლა ეს ნაბიჯი გადადგა, ალბათ, ჟვანიას მკვლელობაზეც ალაპარაკდება“

მიხეილ სააკაშვილი საკუთარ გარემოცვაში არავის ენდობოდა. მას თავი იმპერატორი ეგონა და თვლიდა, რომ ხელქვეითებს მისი ყველა ბრძანება უნდა შეესრულებინათ. თუ ვინმე ხმის ამოღებას გაბედავდა, ან საფერფლეს ესროდა, ან კიდევ პანჩურს ამოარტყამდა. ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მის ბანდაში აღმოჩნდებოდნენ ისეთები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროში ყველა თათბირს ჩაიწერდნენ და ბოლოს ციხეებიდან პატიმართა წამების კადრებსაც კი გამოიტანდნენ.

**როგორც „სახალხო კრების“ წევრი, ლაშა ამირეჯიბი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, სააკაშვილის გარემოცვაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მიხვდნენ, რომ მაგარ სიბინძურეში ჩაითრიეს და ნელ-ნელა დაიწყეს კომპრომატების მოპოვება:**

– დასაწყისში ერთ პატარა ისტორიას მოგიყვები მიხეილ სააკაშვილის ცხოვრებიდან: 2008 წლის შემდგომი პერიოდია, პრეზიდენტი ჩასულია აჭარაში, აგვისტოს ცხელი დღეებია. გამოსულია აივანზე, საიდანაც კარგად ჩანს, როგორ ირუჯება ხალხი ზღვის სანაპიროზე. მიშა ხელით შუბლს იჩრდილავს და ამბობს: ო, როგორ მეზიზღება ეს ქართველები, მე ამათი დედა მოვტ...ან! აი, მისი მიდგომა ჩვენ მიმართ. თუ ძებნას გამოაცხადებენ და დაუსწრებლად, სულ მცირე, 10 წელს მაინც მიუსჯიან, სადღაც 25 წლის განმავლობაში აქ ვერ ჩამოვა, მაგრამ ეგეც ფეხებზე ჰკიდია, არც ნერვი გაუტოკდება და არც ცრემლი ჩამოუგორდება. როცა სააკაშვილი ამ სიტყვებს ამბობდა, მას უკან რამდენიმე ადამიანი ედგა და იმათიც არ მოერიდა, უკვე ისე იყო გათავხედებული. ახლა იმაზეც ვთქვათ, რატომ დაიძრა მთელი არმია, ვასიკო მაღლაფერიძის თამადობით, რატომ გარბის ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად? ესენი უკვე მიხვდნენ, რომ ჯოხი საბოლოოდ მაინც მიშაზე ტყდება და დაიწყეს თავის მართლება, ჩვენ რა უნდა გვექნა, როცა ზემოდან გვავალებდნენო? სააკაშვილი მეტის ღირსია, ის ციხეში უნდა დალპეს იმის გამო, რომ ასეთი გარემოცვა ჰყავდა და ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო.

**— სხვათა შორის, ვასილ მაღლაფერიძის ჩვენება კარგად ასახავს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ხასიათს, ბუნებას, საქმისადმი მიდგომას და ასე შემდეგ.**

– სად იყო ვასიკო მაღლაფერიძე 7 წლის განმავლობაში, რატომ არაფერი თქვა ადრე და რატომ დაიწყო „ჩაშვება“ მაინცდამაინც ახლა? ეს ჩვეულებრივი კითხვაა, რომელიც ნებისმიერს გაუჩნდება. ვასიკო ასევე ბევრ ინფორმაციას ფლობს ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერჯერობით დუმს. რაკი ახლა ეს ნაბიჯი გადადგა, ალბათ, ჟვანიას მკვლელობაზეც ალაპარაკდება. ვასიკოს ჩვენებაში ფრაგმენტულად არის ნახსენები შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამირან მესხელი. შენ ჟურნალისტი კაცი ხარ და ძალიან კარგად იცი, რომ ეს ადამიანი არც პრესის ფურცლებზე გამოჩენილა ოდესმე და არც ტელეეკრანზე. ეგ კი არა, ფოტო რომ გინდოდეს გულით, ვერ იპოვი. არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბატონი მესხელი ვანო მერაბიშვილზე გაცილებით ჭკვიანი აღმოჩნდა – ის იწერდა ყველა თათბირს, თავის მიერ ჩატარებულსაც და ვანოს მიერ ჩატარებულსაც. ჩემი ინფორმაციით, სწორედ მესხელის ხელით გაკეთდა ციხის კადრები, ამ საკითხში სწორედ ის იყო ჩართული. 2012 წლის არჩევნებამდე ეს ადამიანი ბრძანდებოდა თავის კუთხეში, ჯავახეთში, მიიწვია თავისი ხალხი, გაშალა სუფრა და მათ გამოუცხადა, ჩვენ არჩევნები უნდა წავაგოთ, თქვენი ხმა არ გავიგო, დაელოდეთ მოვლენების განვითარებასო. როცა ეს შეხვედრა დამთავრდა, ერთმა ჩემმა ახლობელმა, რომელიც სუფრასთან იყო, გამომიგზავნა წერილი: ამირან მესხელმა გვერდით მჯდომ ერთ პიროვნებას გადაულაპარაკა, ხომ მაგარი კადრები გამოგვივიდა ციხეში, ხომ მოგეწონაო? ანუ, აქედან გამომდინარე, მესხელმა გადაასწრო ყველას, გაწირა თავისი მეგობრები და საკუთარი თავის გადასარჩენად გააკეთა ყველაფერი. კიდევ უფრო საინტერესო რამეს გეტყვი... მესხელი წავიდა ესპანეთში. ამ ადამიანმა ესპანურის სწავლა დაიწყო 2008 წლის შემდეგ, კაბინეტში ეჯდა მასწავლებელი. ესე იგი, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ქვეყნიდან უნდა წასულიყო. ფაქტია, ამირან მესხელის ქმედებამ დადებითი როლი შეასრულა მიშა სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაში.

„მესხელმა მოიპოვა უამრავი კომპრომატი და გაცვალა თავისუფლებაში, ვინც არ უნდა მოსულიყო, ის ყველასთან ითანამშრომლებდა. მან იცის, რომ ჩათრეულია უამრავ სიბინძურეში, ერთ-ერთი მოქმედი პირია და ამიტომაც ამ გზით ცდილობს, თავი დაიძვრინოს“

**— აქ ერთი ფაქტია გასათვალისწინებელი, ამირან მესხელი ჩანაწერებს აკეთებს და თადარიგს იჭერს ჯერ**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „თითოეული ჯარისკაცი არის ჩვენი ქვეყნის საამაყო“



პრემიერ-მინისტრი ალასანია ვაზიანის სამხედრო ბაზაზე საველე სწავლებას „ვაზიანი 2014“ დაესწრო, რომელიც თავდაცვით ბრძოლაში კომბინირებული ძალების ურთიერთქმედების დახვეწასა და დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში მართვისა და კონტროლის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ასევე, დაესწრო ჯავშანსატანკო ქვედანაყოფებში „მაილსის“ ლაზერული სისტემების გამოყენებით გამართულ პირველ წვრთნას. სწავლების დასრულების შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ის ამაყია ქართული ჯარის მობილიზებულობითა და პროფესიონალიზმით.

„თითოეული ჯარისკაცი არის ჩვენი ქვეყნის საამაყო. ჩვენი ჯარი და ჩვენ ყველა ვდგავართ ჩვენი ქვეყნის სამსახურში და მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რომ ჯარს მაქსიმალურად გვერდში დაუდგეს“. – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ხიდაშელი გიგი უგულავას წერილის შესახებ გაკეთებულ კომენტარებს პასუხობს

თინა ხიდაშელმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ვრცელი წერილი განათავსა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი „ნანუკას შოუსა“ და გიგი უგულავას თემას გამოეხმაურა და სოციალურ ქსელში განთავსებული უარყოფითი კომენტარები დაგმო.

თინა ხიდაშელი: „არ მინახავს გუშინდელი ნანუკას შოუ. ისევე როგორც ბევრი სხვა შოუ და გადაცემა, სამწუხაროდ, ტელევიზორი ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი აღარ არის. მაგრამ იცით ფბ-ზე ხშირად ვიყურები. დილიდან ვფიქრობ, დავწერო თუ არა. როგორც ჩანს, პარლამენტის წევრობამ კორექტივები შეიტანა ჩემს ყოველდღიულობაში. ადრე შესაძლოა არასოდეს რომ არ მეფიქრა, დღეს ისეთი ფიქრები მომეძალა, მაგრამ იმის მიუხედავად, რა რეაქცია მოჰყვება ჩემს პოსტს, ზუსტად ვიცი, რომ არ დავწერო, გული გამისკდება. რაც დღეს დილით აქ წავიკითხე და გავიგე, მისი უდიდესი ნაწილი მთრგუნავს და მანადგურებს. ვისაც გინდათ გაგეჯიბრებით გიგისთან ბრძოლაში, მისი პოლიტიკური ნაბიჯების, მერიაში სქემების, უკანონო ტენდერების, უკანონო გადაწყვეტილებების მხილებაში, გამოძიებაში, საკრებულოს სხდომებზე თუ სხვამხრივ საჯაროდ კამათსა და კრიტიკაში. ვერ და არ მივიღებ არავისგან არც ერთ თითის გამოშვერას ჩემი მისამართით. კიდევ ერთხელ, ვისაც გინდათ იმას გაგეჯიბრებით, თავად გიგის და კოლექტიური გიგის მხილებაში, ნაცებთან ბრძოლაში, და ამ ბრძოლის არგუმენტირებულად, ლოგიკურად, დოკუმენტურად და სამართლებრივად დასაბუთებისთვის შრომაში. მაგრამ ეს რა უბედურებაა. არ მოგწონთ ამ გადაცემის სტილი, ესთეტიკა, წამყვანი, შინაარსი, სტუმრები, გადართეთ. ნუ უყურებთ. ვინ გაძალებთ. სტუმრის და თემის მიუხედავად, მე არ მომწონს ასეთი გადაცემები, არ ვარ მათი მაყურებელი და არასოდეს მაინტერესებს, მაგრამ ეს ლანძღვა-გინება, ქილიკი, შ„ენ რომ სხვის შვილებს აუბედურებდი“-ს ძახილი რა არის, ადამიანებო. არაფერში დამნაშავე ბავშვებზე ლაპარაკობთ, მათ რატომ ეხებით, სულში უძვრებით, შეურაცხყოფას აყენებთ :((( რით განსხვავდებით იმათგან, ვისაც სიძულვილის დათესვის გამო ებრძვით და ეწინააღმდეგებით, არ მესმის და ღმერთო, ნურასოდეს შემაძლებინებ, რომ ეს გავიგო. ბოდიშს ვიხდი ასეთი გულახდილობისთვის, მაგრამ რომ წარმოვიდგენ, ჩემი ან სხვისი შვილები, ნებისმიერი ადამიანის შვილები მათი მშობლების მიმართ საზოგადოებაში არსებული დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ზიზღის თუ სიყვარულის გამო პასუხს აგებენ, მზარავს და მაგიჟებს. მე მორალისტი არ ვარ და არავის ვუკითხავ მორალს, ყველა საკუთარი მორალისა და ზნეობის მიხედვით იქცევა, მაგრამ მე ჩემი სათქმელი ვთქვი. არც მოწონებისთვის, არც უარყოფისთვის, არც დაგმობისთვის და არც, თინა როგორი მაგარი ხარ, ძახილისთვის. დავწერე მხოლოდ ჩემთვის და ჩემი და თქვენი შვილებისთვის. გავუფრთხილდეთ მათ“. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

**კიდევ მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი ჰორიზონტზეც კი არ ჩანს. გამოდის, მისთვის სულერთი იყო, ვინ მოვიდოდა.**

**„გახსოვს, მიშამ საქართველოში 1000 მასწავლებელი რომ ჩამოიყვანა, სკოლებში გაანაწილა და ბავშვებს ინგლისურის მაგივრად სულ სხვა რაღაცები ასწავლეს? მე მეშინია, პროკურორების ჩამოყვანაც იგივე კამპანიას არ დაემსგავსოს“**

– მესხელმა მოიპოვა უამრავი კომპრომატი და გაცვალა თავისუფლებაში, ვინც არ უნდა მოსულიყო, ის ყველასთან ითანამშრომლებდა. მან იცის, რომ ჩათრეულია უამრავ სიბინძურეში, ერთ-ერთი მოქმედი პირია და ამიტომაც ამ გზით ცდილობს, თავი დაიძვრინოს. ჩემი ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილმა ამ ყველაფრის შესახებ გაიგო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ალბათ, გახსოვს, ერთი პერიოდი ვანოს დაჯგუფება ძალიან სერიოზულად დაეტაკა ახალაიების დაჯგუფებას, აქ მოხდა დიდი კონფლიქტი, ვანო გადაიყვანეს პრემიერ-მინისტრად, ხოლო ბაჩანა ახალაიას ჩააბარეს შინაგან საქმეთა სამინისტრო. აქვე მინდა ვთქვა, რომ ვინც ვანო მერაბიშვილის კაბინეტში იჯდა და ბჭობდა, როგორ დაემტვრიათ ფერდები ადამიანებისთვის, ყველა არის ამ დანაშაულის მონაწილე და მათ შორის, ვასიკო მაღლაფერიძეც, მან ყველაფერი იცოდა და წლების განმავლობაში მალავდა.

**— როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ომარ ნიშნიანიძემ მითხრა, უახლოეს ხანში რამდენიმე პარლამენტარზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. ვანოს კაბინეტში იყვნენ ასევე კაკო ბობოხიძე და გოგა ხაჩიძე, რომლებიც დღეს საკანონმდებლო ორგანოში „ბლატაობენ“.**



„მიშა სანამ წავიდოდა, მანამდე უნდა დაეპატიმრებინათ, საამისო სამხილი და მტკიცებულება იდო. ეს ადამიანი გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა: მე გავეცი ბრძანება, რომ აფრასიძეები ამოეხოცათო. დამთავრდა, რა ჩემ ფეხებად გინდა ბებერი პროკურორები, დაადე ბორკილები და ეს ვიდეოჩანაწერი აჩვენე მთელ მსოფლიოს. თუ შენ ადამიანის დაჭერა გინდა, აგერ გაქვს დოკუმენტი!“

– დიახ, მეც მაგას ვამბობ, ეს ადამიანები ესწრებოდნენ თათბირებს და პასუხი უნდა აგონ, თანამონაწილეები არიან. მიშა სააკაშვილის საქმეზე რაღაც ეჭვები მიჩნდება, გაწირავენ კი მას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, რომლებსაც დღესაც უნდათ, რომ მიშა გამოიყენონ და მისი ხელით აკეთონ ის სიბინძურეები, რაც 9 წლის განმავლობაში აკეთეს? მე ვთვლი, რომ ჯერჯერობით სააკაშვილი განწირული არ არის. მოდი, აქ ჩავუღრმავდეთ იმას, რა ხდება დღეს ხელისუფლებაში: ამჟამად ჩვენ ხელისუფლებაში გვყავანან პროამერიკელები და პროქართველები, ანუ პირველი – ალასანიას დაჯგუფება, „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“; მეორე – ირაკლი ღარიბაშვილის დაჯგუფება. უახლოეს ხანში დაიწყება გარკვეული უსიამოვნებები კოალიციაშიც, ალასანიები, „ნაციონალები“ და უსუფაშვილები გამოვლენ და იტყვიან, თუ სააკაშვილს არ შევეშვებით, ჩვენ დავკარგავთ დასავლეთს, ჩვენ დავკარგავთ ამერიკას, ჩვენი პარტნიორები ზურგს შეგვაქცევენო.

**— ანუ შენ ამბობ, რომ ირაკლი ღარიბაშვილსა და დანარჩენებს შორის ურთიერთობა უფრო გართულდება?**

– ძალიან გართულდება.

**— სხვათა შორის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე შეშფოთებულია.**

– აი, აქედან უნდა მივხვდეთ, რომ მიშა გაწირული არ ჰყავთ, მათ ეს ადამიანი ჯერ სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ განცხადებებს არ გააკეთებდნენ. პარლამენტიდან ირაკლი ღარიბაშვილს ბრძოლას გამოუცხადებს სამი ძალა, რომლებიც მე უკვე ჩამოგითვალე. პროამერიკელები ამერიკის წინააღმდეგ არ წავლენ, რასაც ისინი ეტყვიან, იმას გააკეთებენ, მაგათ ძუძუზე არიან გამობმულები. რაც შეეხება ჩამოყვანილ პროკურორებს, ესენი არიან მოხუცები, საქმე აღარ აქვთ და ჩვენმა ხელისუფლებამ გაათამაშა ძალიან საინტერესო კარტი. ამათ უხდიან ფულს იმაში, რომ უნდა გამოიძიონ მძიმე საქმეები, მაგრამ არა მგონია,



„ვანო მერაბიშვილმა ამ ყველაფრის შესახებ გაიგო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ალბათ, გახსოვს, ერთი პერიოდი ვანოს დაჯგუფება ძალიან სერიოზულად დაეტაკა ახალაიების დაჯგუფებას, აქ მოხდა დიდი კონფლიქტი, ვანო გადაიყვანეს პრემიერ-მინისტრად, ხოლო ბაჩანა ახალაიას ჩააბარეს შინაგან საქმეთა სამინისტრო“

ამდენი შეძლონ, ბოლოს და ბოლოს, მათ ენაც კი არ იციან.

**— ისინი ქართველ პროკურორებს მისცემენ რეკომენდაციებს და მიმართულებებს, თვითონ საქმეებს არ გამოიძიებენ.**

– გახსოვს, მიშამ საქართველოში 1000 მასწავლებელი რომ ჩამოიყვანა, სკოლებში გაანაწილა და ბავშვებს ინგლისურის მაგივრად სულ სხვა რაღაცები ასწავლეს? მე მეშინია, პროკურორების ჩამოყვანაც იგივე კამპანიას არ დაემსგავსოს. ვნახოთ, ღმერთმა ქნას, ყველაფერი ისე იყოს, როგორც ჩვენ გვინდა. როცა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს არ უნდა, რომ დამნაშავე პრეზიდენტი დააპატიმრო, ამ დროს რა უნდა გააკეთო?

**— უნდა ჩამოვიყვანო მათივე პროკურორები და საქმეები ვანახო. ბოლოს და ბოლოს, სულ სხვის დაკრულზე უნდა ვიცეკვოთ და დამნაშავეები ვეღარ დავიჭიროთ? ვინ ჩემი ფეხებია მაკკეინი? „დუბინკას“ მე მირტყამდნენ თავში და ის მიმტკიცებს, „დუბინკა“ კი არა ბუმბულის ბალიში იყოო?!**

**„ამჟამად ჩვენ ხელისუფლებაში გვყვანან პროამერიკელები და პროქართველები, ანუ პირველი — ალასანიას დაჯგუფება, „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“; მეორე — ირაკლი ღარიბაშვილის დაჯგუფება. უახლოეს ხანში დაიწყება გარკვეული უსიამოვნებები კოალიციაშიც, ალასანიები, „ნაციონალები“ და უსუფაშვილები გამოვლენ და იტყვიან, თუ სააკაშვილს არ შევეშვებით, ჩვენ დავკარგავთ დასავლეთს, ჩვენ დავკარგავთ ამერიკას, ჩვენი პარტნიორები ზურგს შეგვაქცევენო“**

– მიშას დედაც მოვტ...ან, რააა, ასე დაწერე პირდაპირ, პასუხს მე ვაგებ! მიშა სანამ წავიდოდა, მანამდე უნდა დაეპატიმრებინათ, საამისო სამხილი და მტკიცებულება იდო. ეს ადამიანი გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა: მე გავეცი ბრძანება, რომ აფრასიძეები ამოეხოცათო. დამთავრდა, რა ჩემ ფეხებად გინდა ბებერი პროკურორები, დაადე ბორკილები და ეს ვიდეოჩანაწერი აჩვენე მთელ მსოფლიოს. თუ შენ ადამიანის დაჭერა გინდა, აგერ გაქვს დოკუმენტი! მეც ეგ მანერვიულებს, რომ სააკაშვილის დაჭერა შეგვეძლო და გავუშვით, ახლა ველოდებით, რას იტყვიან დასავლეთში. კი, ბატონო, ვისხდეთ და ველოდოთ!

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისის ზოოპარკში მაიმუნი დაიბადა



თბილისის ზოოპარკში მატებაა – მაიმუნი დაიბადა. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის ზოოპარკის ოფიციალური გვერდი „ფეისბუკის“ საშუალებით ავრცელებს.

„მიეგებეთ ჩვენს უსაყვარლეს ახალშობილს, პაწაწუნა ჰამადრილს, რომელიც სულ რამდენიმე დღისაა, მაგრამ უკვე დიდი მაიმუნი ვინმეა. ისედაც ხომ მაიმუნია და ქცევაც მაიმუნური აქვს, მოკლედ, ყოველმხრივ მაიმუნია აზღარბული შავ-შავი ქოჩორი და ჭკვიანი, ღილებივით თვალები ამშვენებს, პიანისტივით გრძელი თითების პატრონი ბუნებრივი, შავი მანიკიურითაც იწონებს თავს.

ჩვენი გოგოცუნას მოვლაზე დედიკომ უარი განაცხადა, ამიტომ, პატარის გადასარჩენად მისი ვოლიერიდან გამოყვანა მოგვიწია. ახლა მას ჩვენი ძიძა ევლება თავს. საწოვარადან აჭმევს, კალათში აძინებს სათამაშოებთან ერთად და ციცქნა ტაკუცებზე დამაგრებულ უციცქნეს პამპერსებსაც უცვლის.

ჰამადრილის ბაბუინი ანთრისებრთა ოჯახის და პავიანების გვარის წარმომადგენელია. ეს გასაოცარი ცხოველები, მათი გონიერებით, რთული სოციალური ქცევითა და სტრუქტურით, ეთიოპიის, სომალისა და ერიტრეას ღირსშესანიშნაობას წარმოადგენენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ქრისტიან-დემოკრატებმა ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს



ქრისტიან-დემოკრატებმა ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ საჩივარი იუსტიციის სამინისტროში შეიტანეს.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჩივარი ქდმ-ს ფოთის, წყალტუბოს, წალკის და ბოლნისის ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა შეიტანეს, რომლითაც ითხოვენ ქდმ-ს თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძის არჩევის ბათილად ცნობას.

განმცხადებლები მიუთითებენ, რომ 6 მაისს გამართულ ე.წ. ყრილობაში არ მიუღიათ მონაწილეობა ქდმ-ს ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეებს. „ზოგადად ყრილობა ჩატარდა გასაიდუმლოებულ ვითარებაში, ისე რომ ყრილობის შესახებ არ ეცნობათ პარტიის წევრებს, არც წინასწარ და არც შემდგომ. ყრილობას არ ესწრებოდნენ ჟურნალისტები. დღემდე ქ-ნი ბურჯანაძე მალავს საკუთარი გაქრისტიან-დემოკრატების ფაქტს და განცხადებებს კვლავინდებურად „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ სახელით აკეთებს.

ყრილობის გარეშე თავმჯდომარის შეცვლა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლს, ისევე როგორც ქდმ-ს წესდების მე-5 მუხლს“, – აცხადებენ პარტიის წევრები.

ქრისტიან-დემოკრატები აგრეთვე ითხოვენ საჩივრის წარმოების დასრულებამდე შეჩერდეს ნინო ბურჯანაძის, როგორც ქდმ-ს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

იუსტიციის სამინისტრო საჩივარს უახლოესი 1 თვის ვადაში განიხილავს. (ნიუპოსტი)

# თურქეთი მტკვარს საქართველოსკენ აღარ გამოუშვებს

## რას აპირებს ხელისუფლება?



რამდენიმე დღის წინ მწვანეთა პარტიის ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, თურქეთი მდინარე მტკვრის სათავეებზე „ბეშიქ ჰაიას“ წყალსაცავების კასკადის მშენებლობას იწყებს და თუ ეს პროექტი განხორციელდა, შესაძლოა, საქართველოში მტკვარი აღარ შემოვიდეს, რაც სერიოზულ პრობლემებს შექმნის. გაჩეჩილაძის თქმით, ეს ახალი პრობლემა არ არის, რადგანაც 2012 წელსაც იყო ამის შესახებ საუბარი, მაგრამ მაშინ ეს არ განხორციელდა, რადგანაც საკმაოდ იმარჯვა არდაგანის ოლქის მაშინდელმა დეპუტატმა, რომელმაც ერთი ამბავი ატეხა თურქეთის პარლამენტში და მშენებლობა შეაჩერებინა. ახლა ეს პროცესი თავიდან დაიწყო და მშენებლობაზე ტენდერიც არის გამოცხადებული. პროექტი ჰიდროელექტროსადგურების კასკადს გულისხმობს, რომლის შედეგადაც მტკვარი გადაგდებული იქნება მდინარე ჭოროხის კალაპოტში, იქ მდებარე წყალსაცავების „კილიჩისა“ და „ისპირის“ შესავსებად და მდინარე მტკვარი მდინარე ჭოროხის საშუალებით არა კასპიის, არამედ შავ ზღვაში მოხვდება და საქართველოში აღარ შემოვა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მტკვარი მთლიანად დაშრება, თუმცა წყლის უდიდესი დეფიციტი შეიქმნება: წყალი ახალციხის რაიონში 60%-ით შემცირდება, ბორჯომში – 40%-ით და თბილისში – 20%-ით. ეს კი არ იქნება საკმარისი, რომ თბილისში საკანალიზაციო წყლების განეიტრალება მოახდინოს და ფაქტობრივად, ქალაქში ყოფნა გაუსაძლისი იქნება. ეს კი არა მარტო ეკოლოგიური კატასტროფაა, არამედ შეიძლება, გავრცელდეს ინფექციური დაავადებები. უდიდესი ზარალიც იქნება ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი სწორედ მტკვრის წყლით ირწყვება. თურქეთმა, როგორც სტრატეგიულმა პარტნიორმა, კეთილი უნდა ინებოს და არ დაგვღუპოს, მტკვარი არის ამიერკავკასიის წყლის რესურსის 30 პროცენტი და თუ ეს პროექტი განხორციელდა, დიდ უბედურებაში გავეხვევითო, – აცხადებს გია გაჩეჩილაძე.

ვინაიდან ამ განცხადების გაკეთებიდან კვირაზე მეტი გავიდა, „ალია“ დაინტერესდა, რას აპირებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტი ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად?



**„ეს არ ნიშნავს იმას, რომ მტკვარი მთლიანად დაშრება, თუმცა წყლის უდიდესი დეფიციტი შეიქმნება: წყალი ახალციხის რაიონში 60%-ით შემცირდება, ბორჯომში – 40%-ით და თბილისში – 20%-ით. ეს კი არ იქნება საკმარისი, რომ თბილისში საკანალიზაციო წყლების განეიტრალება მოახდინოს და ფაქტობრივად, ქალაქში ყოფნა გაუსაძლისი იქნება“**

**კომენტარისთვის ვუკავშირდებით გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს მარინა მაკაროვას:**

– ოფიციალურად ჩვენ ასეთი ინფორმაცია არ გვქონდა. რაც შეეხება სიტუაციას, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს, მდინარე მტკვარი სარწყავი წყლის წყაროა, როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში. შესაბამისად, შეიძლება, იყოს წყლის დეფიციტი განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. რა თქმა უნდა, ეს ხარისხზეც იმოქმედებს, იმიტომ, რომ თუ ჩაედინება გაუწმენდავი მდინარის წყლები, ცხადია, კონცენტრაცია იქნება მეტი და სიტუაცია გაუარესდება. მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ჩვენ დაბინძურებაზე ვლაპარაკობთ, უნდა იყოს აშენებული გამწმენდი ნაგებობები, რაზედაც ამ მიმართულებით ვმუშაობთ ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად.

**— გამწმენდი ნაგებობები კი არა, გაჩეჩილაძე ამბობს, წყლის უდიდესი დეფიციტი შეიქმნება და ქალაქში გაუსაძლისი მდგომარეობა დადგებაო.**

– მტკვარი მარტო თურქეთის ტერიტორიაზე კი არ არის, უამრავი შენაკადი აქვს მას საქართველოს ტერიტორიაზე, საიდანაც ხდება ამ მდინარის კვება.

**— ეს არაგვის მხარეს და მანამდე ბორჯომის მხარეს რას ვუშვრებით? იქ ხომ მტკვარია მთავარი? ბორჯომის მიკროკლიმატს ხომ მტკვარი ქმნის და არ არის იმის საშიშროება, რომ ბორჯომის ხეობა გაგვიქრება?**

– პასუხს გაძლევთ შესაბამისს, რომ დასკვნების გაკეთებისთვის საჭიროა პროექტის შესწავლა, ეს პროექტი ჩვენთან არ შემოსულა და დეტალები არ ვიცით. სანამ არ იქნება შესწავლილი, რაღაცის დარწმუნებით თქმა, რომ ასეთი შედეგი იქნება და ისეთი შედეგი, შეუძლებელია.

**— გასაგებია, მაგრამ, როცა პარლამენტის წევრი აცხადებს ფაქტის შესახებ, ეს საკმარისი არ არის სამინისტროს დაინტერესებისათვის?**

– ეს სიტყვებია, საჭიროა პროექტის ნახვა.

**— და რა გიშლით ხელს, რომ ნახოთ ეს პროექტი?**

– სად არის ეს პროექტი? სად ვეძებო?

**— აქ ეკოლოგიურ კატასტროფაზეა საუბარი და დაუკავშირდით გია გაჩეჩილაძეს.**

– პროექტის დეტალებს არ ვიცნობთ და ვერ ვაკეთებთ კომენტარს.

ამის შემდეგ ვცდილობთ, დავუკავშირდეთ პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს, გია ცაგარეიშვილს, რომელიც მე-5 ზარზე გვპასუხობს. გვაინტერესებს, რა იცის ამ პრობლემის შესახებ და თუ აპირებენ თურქეთის მხარესთან დაკავშირებას? კომიტეტის თავმჯდომარე გვიხსნის, რომ სხდომაზეა და ერთი საათის შემდეგ გვიპასუხებს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბატონი ცაგარეიშვილი არც ერთი და არც ოთხი საათის შემდეგ არ გვპასუხობს.

**ბოლოს კი ვუკავშირდებით „მწვანეთა პარტიის“ ხელმძღვანელს, პარლამენტარ გია გაჩეჩილაძეს.**

**— გარემოს დაცვის სამინისტროში მითხრეს, კატასტროფული არაფერია, მტკვარს სხვა შენაკადებიც აქვსო...**

– (ხვნეშის) მტკვარს შენაკადები როგორ არ აქვს, მაგრამ მაკაროვა ცნობილი სპეციალისტია და უნდა იცოდეს, რომ ის შენაკადები არ არის საკმარისი, წყალს რამდენი პროცენტი დააკლდება, ეგაა მნიშვნელოვანი. რაც შეეხება პროექტს, საქართველოში ოფიციალურად ნამდვილად

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### უკრაინა რუსეთს განმარტებებს სთხოვს



უკრაინა რუსეთისგან განმარტებებს ითხოვს უკრაინა-რუსეთის საზღვართან დაწყებული სამხედრო მოქმედებების გამო.

„უკრაინამ კვლავ გამოიყენა საკუთარი უფლება და 2014 წლის 30 ივლისს მოითხოვა რუსეთისგან განმარტებები საზღვართან სამხედრო მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით“, – აცხადებენ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ უკრაინა მტკიცებულებებს წარადგენს რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიის წამოწყების თაობაზე.

„აღნიშნულ ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა მათი ქცევა, 29 ივლისიდან დაწყებული, მასშტაბური სამხედრო სწავლებები როსტოვის ოლქსა და სტავროპოლში, რომლის დროსაც, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იგეგმება გარკვეული სამხედრო იარაღის გამოცდა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რადამ იაცენიუკის მოთხოვნა გადადგომაზე, არ დააკმაყოფილა



უკრაინის პარლამენტმა არ დააკმაყოფილა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოთხოვნა გადადგომის თაობაზე, იაცენიუკის სასარგებლოდ მხოლოდ 16-მა დეპუტატმა მისცა ხმა, 226 კი წინააღმდეგ წავიდა.

კენჭისყრის შემდეგ იაცენიუკმა ტრიბუნიდან განაცხადა: „პატივცემულო სახალხო დეპუტატებო, დღეისთვის ორი სიახლე არსებობს. პირველი ის, რომ არგენტინამ დეფოლტი გამოაცხადა, მეორე ის, რომ უკრაინამ არ გამოაცხადა დეფოლტი და არასდროს გამოაცხადებს მას“.

იაცენიუკმა რადას 24 ივლისს მიმართა თანამდებობიდან გადადგომის თხოვნით. (ნიუპოსტი)

### რიგგარეშე სესია საკომიტეტო დარბაზში გაიმართება



პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, რიგგარეშე სესია საკომიტეტო დარბაზში ჩატარდება, რადგან აპარატურა მწყობრიდან გამოვიდა და მისი შეკეთება მიმდინარეობს.

„იმის გამო, რომ სხდომათა დარბაზში ელექტრონული ტექნიკა მწყობრიდან გამოვიდა, სანამ მოხდება მისი შეკეთება, ჩვენ გადავწყვიტეთ მუშაობა გავაგრძელოთ სხვა გარემოში. ამის თაობაზე იყო კონსულტაციები პოლიტიკურ დონეზე და ტექნიკურ დონეზეც. პარლამენტი უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და ვიმუშავებთ იმ დარბაზიდან, რომელშიც კომიტეტები მუშაობენ. კენჭისყრებისთვის ჩვენ გადავინაცვლებთ სხდომათა დარბაზში და ამ დროისთვის თუკი აპარატურა მწყობრში არ ჩადგება კენჭისყრა ჩატარდება სხვა უფრო ტრადიციული და ზოგჯერ უფრო საიმედო მეთოდებით“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

არ არსებობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენს პარტიას მოაკითხეს თავად თურქებმა, ესაა არდაგანის ოლქის მოსახლეობა, რადგანაც იმათაც პრობლემები ექმნებათ. კერძოდ, იქ კაშხალი კეთდება და მის ქვემოთ კეთდება გვირაბი, რომლის დახმარებითაც გამოყენებული წყალი უნდა გადაისროლონ ჭოროხის აუზში და ამის შემდეგ მტკვარი უკვე საქართველოს ტერიტორიაზე აღარ შემოვა. გზად მდინარეს შენაკადები ნამდვილად შეუერთდება, მაგრამ წყალი იკლებს ყველგან და მათ შორის აზერბაიჯანსაც, რომელსაც წყლის 10 პროცენტი მოაკლდება. აზერბაიჯანის ყველაზე დიდი რეზერვუარი არის მინგეჩაური, სადაც მტკვარს ჩააქვს წყალი.

**„ცოდოა ეს ქვეყანა, აქ ჭორაობაზეა მედიაში ყურადღება გადატანილი და იფარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა. რაც უფრო მეტი ხმაური ატყდება, მით უკეთესია. ნახეთ, რა ხდება ამასთან დაკავშირებით აზერბაიჯანში? გადარეულები არიან და ჩვენ რატომ უნდა გავჩუმდეთ?“**



ამ ბოლო დროს მისი შევსება ისედაც პრობლემაა გლობალური დათბობის გამო და სულ პრეტენზია აქვს ამ ქვეყანას. ანუ, ესაა როგორც თურქეთის, ისე საქართველოსა და აზერბაიჯანის ერთობლივი პრობლემა. გარემოს დაცვის სამინისტრომ ამის შესახებ რომ არ იცის, ეს გასაგებია, რადგანაც ოფიციალურად მათთვის არავის მიუწოდებია ინფორმაცია, მაგრამ კარგი იქნება, თუ ინტერნეტში შევლენ და გაეცნობიან პრობლემას.

**— კი, მაგრამ რატომ არსებობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური? ბრიფინგზე ითქვა ამის შესახებ და, ნება იბოძონ და გაეცნონ პრობლემას.**

– ენერგეტიკის მინისტრს რომ დავუსვი კითხვა ამასთან დაკავშირებით, მან დაადასტურა, რომ ეს პრობლემა არსებობს და შევეცდებით, გადავწყვიტოთ და რაიმე ალტერნატივა შევთავაზოთ თურქებსო. ანუ, ენერგეტიკის მინისტრი უშუალოდ არის ჩართული ამ საკითხის განხილვაში. უნდა შედგეს კომისია, სადაც იქნებიან ენერგეტიკოსები, ეკონომისტები და აუცილებლად საგარეო საქმეთა სამინისტრო, რადგანაც ეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საკითხია და მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური. კალაძემ ბრძანა, ამ დღეებში თურქეთში წავა ჩემი მოადგილე ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად და ვნახოთ, რა პასუხით დაბრუნდება ჩვენი წარმომადგენელიო. ამიტომ ნუ დაუკავშირდებით კალაძის სამინისტროს, ჯერ პასუხი არ ექნებათ და თუ ამ საკითხს ბოლომდე მიჰყვებით, ცოტა ხანში გაირკვევა, რა ხდება.

**— თუ თურქებმა თავისი გაიტანეს, რას უნდა ველოდოთ?**

– ურთიერთობის გაფუჭებას, რადგანაც წყლის პრობლემა არის სერიოზული პრობლემა და ბევრი კონფლიქტი მოსდევს მას სახელმწიფოთა შორის. „მტკვარჰესი“ რომ შენდება ჩვენთან, რისთვის შენდება, თუ წყალი არ გვექნა? არ არის ეს უზარმაზარი ზარალი? ასევე, „ზაჰესიც“ მტკვარზეა. თურქეთი ჩვენი პარტნიორია და არ უნდა დაუშვან ეს ამბავი.

მე ხომ აღარც უმრავლესობაში ვარ და არსად არ ვარ, ვარ ერთი კინკილა დამოუკიდებელი წევრი და ვცილობ, მარტომ ვიმუშაო. ამიტომ, ჯერ მეც თქვენთან ერთად დაველოდები ენერგეტიკის სამინისტროს გადაწყვეტილებას და ნოემბრის დასაწყისში მაქვს შეხვედრა სტამბულში ევროპის მწვანეთა პარტიის საბჭოს სხდომაზე წევრებთან, აქვე იქნებიან ევროპარლამენტარები და იქ, ეტყობა, უნდა ვიომო. აბა, რა ვქნა? ცოდოა ეს ქვეყანა, აქ ჭორაობაზეა მედიაში ყურადღება გადატანილი და იფარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა. რაც უფრო მეტი ხმაური ატყდება, მით უკეთესია. ნახეთ, რა ხდება ამასთან დაკავშირებით აზერბაიჯანში? გადარეულები არიან და ჩვენ რატომ უნდა გავჩუმდეთ?

**„ენერგეტიკის მინისტრი უშუალოდ არის ჩართული ამ საკითხის განხილვაში. უნდა შედგეს კომისია, სადაც იქნებიან ენერგეტიკოსები, ეკონომისტები და აუცილებლად საგარეო საქმეთა სამინისტრო, რადგანაც ეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საკითხია და მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური. კალაძემ ბრძანა, ამ დღეებში თურქეთში წავა ჩემი მოადგილე ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად და ვნახოთ, რა პასუხით დაბრუნდება ჩვენი წარმომადგენელიო“**

**„ჩვენს პარტიას მოაკითხეს თავად თურქებმა, ესაა არდაგანის ოლქის მოსახლეობა, რადგანაც იმათაც პრობლემები ექმნებათ. კერძოდ, იქ კაშხალი კეთდება და მის ქვემოთ კეთდება გვირაბი, რომლის დახმარებითაც გამოყენებული წყალი უნდა გადაისროლონ ჭოროხის აუზში და ამის შემდეგ მტკვარი უკვე საქართველოს ტერიტორიაზე აღარ შემოვა“**

**„დასკვნების გაკეთებისთვის საჭიროა პროექტის შესწავლა, ეს პროექტი ჩვენთან არ შემოსულა და დეტალები არ ვიცით. სანამ არ იქნება შესწავლილი, რაღაცის დარწმუნებით თქმა, რომ ასეთი შედეგი იქნება და ისეთი შედეგი, შეუძლებელია“**

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

DIA

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ლუკოილი“ უკრაინაში ბენზინგასამართ სადგურებს ყიდის



რუსული ნავთობკონცერნი „ლუკოილი“ უკრაინაში, მის მფლობელობაში არსებულ ბენზინგასამართ სადგურების ქსელს ყიდის. სულ კონცერნი 240 ბენზინგასამართ სადგურს ფლობს. დასახელებულია მყიდველიც – ეს არის ავსტრიული კონცერნი AMIC. „ლუკოილ-უკრაინას“ განცხადებით, სადგურების გაყიდვის ინიციატივა ავსტრიულ მხარეს ეკუთვნის. თანხის რაოდენობა არ სახელდება.

გარდა „ლუკოილისა“, უკრაინის ტერიტორიაზე ბენზინგასამართ სადგურებს „როსნეფტიც“ ფლობს, რომელიც დასავლური სანქციების სიაშია მოხვედრილი. სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში ისიც „ლუკოილს“ მიბაძავს. სპეციალისტების აზრით, ორივე კონცერნს ეშინია, რომ არ მოხდეს მათი ქონების ექსპროპრიაცია, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტისა და დასავლეთის მიერ რუსული ეკონომიკის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფონზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სააკაშვილს პასუხს ობიექტური გამოძიება გასცემს“



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ექსპრეზიდენტის საქმეს გამოეხმაურა.

„სააკაშვილს პასუხს ობიექტური გამოძიება გასცემს. რაც მთავარია, ჩვენ ვიქნებით მაქსიმალურად გამჭვირვალე. მე გავაკეთე ამასთან დაკავშირებით განცხადება და ამ ეტაპზე დამატებით კომენტარს ვერ გავაკეთებ“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „გალფის“ ნავთობბაზაზე მომხდარი აფეთქება ტექნიკურ დარღვევებს არ უკავშირდება



ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ექსპერტების წინასწარი შეფასებით, 30 ივლისს „გალფის“ ნავთობბაზაზე მომხდარი აფეთქება შესაძლოა, გამოწვეული იყოს სტატიკური ელექტრული მუხტის ზემოქმედებით, ავტოცისტერნის გამართვისას:

„ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ პირველადი ანალიზით, შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ კუთვნილ ნავთობბაზაში 30 ივლისს მომხდარი საწვავის აალების შემთხვევები არ უკავშირდება ნავთობბაზაში არსებულ ტექნიკურ დარღვევებს. ინსპექტირების ჯგუფი ამჟამადაც მუშაობს ინციდენტის ადგილას. სააგენტოს სპეციალისტებმა ნავთობბაზის ტექნიკური შემოწმების შედეგად ობიექტზე ვერ აღმოაჩინეს ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობები, რომელთაც ინციდენტი შეეძლოთ გამოეწვიათ. (ნიუპოსტი)

# რატომ ასაიდუმლოებს პროკურატურა კიწმარიშვილის საქმის გამოძიების შედეგებს?

ეროსი კიწმარიშვილის მეტად საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების გამოძიება, თავდაპირველად, სწრაფი ტემპით წარიმართა, მთავარი პროკურატურა საკმაოდ გახსნილი იყო და გამოძიების შესახებ ახალ დეტალებსაც ან თავად ახმაურებდა, ანდა, ეროსის ძმას, ზურაბ კიწმარიშვილს აყენებდა საქმის კურსში და საზოგადოება მისი მეშვეობით იგებდა ამ სიახლეებს.

თითქმის 2 კვირაა, პროკურატურას ამ საქმესთან დაკავშირებით აღარაფერი განუცხადებია. ჩვენთვის უცნობია, ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის წევრებმა იციან თუ არა რაიმე სიახლე, მაგრამ ახალი მათაც რომ არაფერი უთქვამთ, ფაქტია. საზოგადოებას განსაკუთრებით აინტერესებს ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა. ზურაბ კიწმარიშვილის განცხადებით, ამ ექსპერტიზის დასკვნა იქითა კვირაში გახდება მისთვის ცნობილი, საქმის გამომძიებლები ასე ეუბნებიან. შეგახსენებთ, რომ ეროსი კიწმარიშვილის კუთვნილ, „ჩეზე-75“ ტიპის იარაღზე ორი სახის ექსპერტიზა ტარდება. ექსპერტიზამ ჯერ ის უნდა გაარკვიოს, ტყვია, რომელმაც ეროსი იმსხვერპლა, ამ „ჩეზედან“ არის თუ არა გასროლილი. ასევე, იარაღზე სისხლის კვალი არ აღმოჩნდა, რაც იმ ვარაუდს ამყარებს, რომ მას თავი არ მოუკლავს და სავარაუდოდ, მის მკვლელობაში, სხვა იარაღი იქნა გამოყენებული. თუმცა, თვითმკვლელობის ვერსიის საბოლოოდ გამოსარიცხად, გამოძიებამ გადაწყვიტა, ეროსი კიწმარიშვილის დნმ-ის ანალიზიც გამოიკვლიოს – იარაღის ლულაზე არის თუ არა მისი თმის ან კანის ნაწილაკები დარჩენილი. თუ იარაღზე არც ეს აღმოჩნდა, თვითმკვლელობის ვერსიას ყველა საფუძველი გამოეცლება და ერთადერთი ვერსია დარჩება – მკვლელობისა, თანაც, ცხადია, არა ეროსის კუთვნილი, არამედ მკვლელის იარაღით.

ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილის საქმე პირველ ეტაპზე უპრეცედენტოდ საჯარო და გახსნილი იყო, მერე კი, გაურკვეველი მიზეზების გამო, ჩაიკეტა და ინფორმაცია ხელმიუწვდომელი გახდა.

ექსპერტი „ალიას“ ეთანხმება იმაში, რომ ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხი უკვე არსებობს და ამაში დარწმუნებულია. თუმცა, ამ დასკვნას რაღაც მიზეზის გამო არ ახმაურებენ. სავარაუდოდ, უკვე დნმ-ის ექსპერტიზის პასუხიც ცნობილია, მაგრამ არც მისი შედეგებია საჯარო. შესაძლებელია, ექსპერტიზამ რაღაც ისეთი დეტალი ან დეტალები აღმოაჩინა ბალისტიკური ან დნმ-ის ექსპერტიზების დროს, რომ მის გამო თავს იკავებს გამოძიება დასკვნის გახმაურებისგან? „ალიას“ ამ კითხვას მაია ნიკოლეიშვილი ასე პასუხობს: „მე მხოლოდ ვვარაუდობ, იქნებ არის ისეთი რაღაც, რის გამოც, ინფორმაციის გაშვება, გასაჯაროება მკაცრად შეჩერდა იმდენად, რომ მეც აბსოლუტურად არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია. შეიძლება ეს ხდება. არც ბატონ ზურაბ კიწმარიშვილს არ უნახავს ახალი არაფერი“.



„მე მხოლოდ ვვარაუდობ, იქნებ არის ისეთი რაღაც, რის გამოც, ინფორმაციის გაშვება, გასაჯაროება მკაცრად შეჩერდა იმდენად, რომ მეც აბსოლუტურად არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია. შეიძლება ეს ხდება. არც ბატონ ზურაბ კიწმარიშვილს არ უნახავს ახალი არაფერი“





სავარაუდოდ, უკვე დნმ-ის ექსპერტიზის პასუხიც ცნობილია, მაგრამ არც მისი შედეგებია საჯარო. შესაძლებელია, ექსპერტიზამ რაღაც ისეთი დეტალი ან დეტალები აღმოაჩინა ბალისტიკური ან დნმ-ის ექსპერტიზების დროს, რომ მის გამო თავს იკავებს გამოძიება დასკვნის გახმაურებისგან

სრულიად შესაძლებელია, რომ იარაღის ლულის ჭრილზე არ აღმოჩნდა ეროსი კიწმარიშვილის სხეულის ნაწილაკები, ამით თვითმკვლელობის ვერსია გამოირიცხა და უკვე მკვლელობის ვერსია მოქმედებს, შესაბამისად, ამ მიმართულებით საგამოძიებო მოქმედებებსაც ატარებენ და დასკვნის გახმაურება, ოპერატიული თვალსაზრისით, ხელს არ აძლევთ. თუნდაც იმ მიზნით, რომ გამოძიება მკვლელთა კვალზეც უკვე გასულია და ამ მიმართულებით, აქტიურადაც მუშაობს. მაია ნიკოლეიშვილი „ალიას“ ამ ვარაუდსაც ეთანხმება. „მეც იმიტომ არ ვაყენებ კატეგორიულად გასაჯაროების საკითხს, რომ გამოძიების პროცესში დგება ხოლმე ისეთი ეტაპი, როცა გამოძიება სწორ გზაზე დგას და ხელი რომ არ შეეშალოს პროცესს, ამიტომ დუმილს ამჯობინებენ. ღმერთმა ქნას, რომ გახსნან და სწორად მიდიოდნენ. თქვენი ვარაუდი, რა თქმა უნდა, მისაღებია. სწორედ ამიტომ ვარ ასე ჩუმად, რომ მეც რაღაც ამგვარის იმედი მაქვს“.

დაბოლოს, მაია ნიკოლეიშვილი, ფაქტობრივად, გამორიცხავს თვითმკვლელობის ვერსიას და აცხადებს, რომ მხოლოდ უმცირესი თეორიული შანსი არსებობს იმისა, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა: „ძალიან მნიშვნელოვანი იყო დნმ-ი ლულის ჭრილზე. თუ მასზე დნმ-ი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ, ფაქტობრივად, თვითმკვლელობის ვერსიას ძალიან დაბლა დასწევდა, თუნდაც იმ ნულ და რაღაც პროცენტს, რაც ჯერ კიდევ არსებობს, გამორიცხავდა. მაშინ აბსოლუტურად მოხსნილი იქნებოდა თვითმკვლელობაზე საუბარი. თუმცა, ვიდრე დასკვნა არ დაიდება, მანამდე დაბეჯითებით არაფერზე საუბარი არ შეიძლება. მარტო ინტუიციით გამორიცხო თვითმკვლელობის ვერსია, არასერიოზულია. თუმცა, ძალიან დაბალი, თეორიული შანსია ამისა“.

„ალია“ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების შემდეგ გავრცელებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით არაერთხელ წერდა, რომ ამ ფაქტების ანალიზის შედეგად, დიდი ალბათობით, ეროსი კიწმარიშვილს თავი არ მოუკლავს, ის მოკლულია და მკვლელმა საკუთარი იარაღი გამოიყენა. მართალია, ბალისტიკური და დნმ-ის ექსპერტიზის დასკვნების გარეშე, თვითმკვლელობის ვერსიის საბოლოოდ გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ აგერ, თავადაც ხედავთ, რომ მაია ნიკოლეიშვილიც, მკვლელობის ვერსიას თითქმის იზიარებს და თვითმკვლელობის ვერსიას მხოლოდ თეორიულად უშვებს, თანაც დაბალი თეორიული ალბათობით.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბევრი, ვინც ბაქი-ბუქობდა და თავი ერთგულ ჯარისკაცად მოჰქონდა პარტიიდან პირველი გავარდა...“



თბილისის ყოფილმა მერმა, გიგი უგულავამ „ნანუკას შოუში“ „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულების შესახებ განცხადება გაავრცელა.

„მირჩევნია, ვიფიქრო იმ ხალხზე, ვისი ერთგულებაც ამ ტოტალური ღალატის ფონზე აღმოვაჩინე. სახარებაშია ნათქვამი, „უკანანი წინა და წინანი უკანა“. ბევრი, ვინც ბაქიბუქობდა და თავი ერთგულ ჯარისკაცად მოჰქონდა, პირველი გავარდა, მაგრამ უფრო ბევრი აღმოჩნდა ის, ვინც ჩუმად აკეთებდა საქმეს და სიკვდილამდე ერთგული აღმოჩნდა. ბედნიერი ვარ, რომ ბევრი ასეთი მეგობარი მყავს. ბოლოს და ბოლოს მათმა ღალატმა უამრავი სხვა ადამიანის ერთგულება დამანახა. ბევრი ადამიანი უბრალოდ დაიკარგა რადარებიდან. ადრე თუ შენს გვერდზე ყოფნას ლამობდნენ, 1 ოქტომბრის მერე ნელ-ნელა და დეკემბერში, მერიიდან წამოსვლის შედეგ სულ დაიკარგნენ. ამაზე არც ვდარდობ, ყველა საზოგადოებაში არის ხალხი, რომელიც არა პერსონასთან, არამედ ხელისუფლებასთან მეგობრობს“. – წერს უგულავა.

შეგახსენებთ, რომ ნანუკა ჟორჟოლიანმა წერილობითი ინტერვიუ გიგი უგულავასთან ციხეში ჩაწერა (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თურმე, ქართულ ეკონომიკას სჭირდება 70 ათასი გეისა და მეძავის ჩამოყვანა“



„ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში განვითარებულ საკადრო ცვლილებებს გამოეხმაურა:

„ყურადღებამისაქცევი იყო ტურიზმის ადმინისტრაციის უფროსის, გიორგი სიგუას განცხადებები, ამ განცხადებების მორალური და ეთიკური მხარე. მისასალმებელია მინისტრ კვირიკაშვილის გადაწყვეტილება. ჩანდა, რომ ის ოჯახში გაზრდილი კაცია და ამ გადაწყვეტილებით ეს შეხედულება გაამართლა. კარგია, რომ მინისტრები, ეთიკას, მორალს და ზნეობას აქცევენ ყურადღებას... კაზანტიპი, არ არის კონცერტი, ეს ფესტივალი, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ მნიშვნელობას ატარებს და გულისხმობს, გარყვნილების, ცოდვის ზეიმს, სადაც წახალისებულია მრუშობა, ჰომოსექსუალიზმი და ნარკოტიკების მოხმარება, თან მღერიან, აბა ნარკოტიკებს რომ მიიღებენ, კონცერტებიც ხომ უნდათ?..

საქართველოს კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. როცა სამართალდამცავები ბორდელებში შედიან, ისინი მეძავს კი არ აკავებენ, არამედ, აკავებენ მეპატრონეს. გამოდის, რომ სახელმწიფო, ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს გადასცემს პროსტიტუციისთვის, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, უბრალო ადამიანური მიდგომით კი, ეს არის სუტენიორობა! რატომ სუტენიორობა? როცა ქალსა და კაცს ერთმანეთთან შეხვედრა უნდათ, ეს მათ თავადვე უნდა მოახერხონ, მაგრამ თუ ამაში მესამე პირი, შუამავალია ჩართული და ფულს იღებს, მაშინ ის სუტენიორია. სახელმწიფო, ამ საქმეში ღიადაა ჩართული და ამბობს, ამას ფულის საშოვნელად ვაკეთებთო, ანუ სახელმწიფო სუტენიორობს. ეს ხომ სირცხვილია?! ამაზე ბინძური და სამარცხვინო ფული, რა უნდა იშოვოს ან ადამიანმა, ან სახელმწიფომ? ყველა ის ადამიანი, რომელიც „კაზანტიპის“ ფესტივალის ჩატარების მომხრეა, არის სუტენიორი! აბა, რა?! თურმე, ეკონომიკას სჭირდება 70 ათასი გეისა და მეძავის ჩამოყვანა იმისთვის, რომ მეორე 70 ათასი დამშეული ახალგაზრდა დავაჯახოთ, რომ მერე ათასგვარი დაავადებების გავრცელების ადგილად გადაიქცეს საქართველო. სხვათა შორის, ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის მიღების გამო, არც ერთი „კაზანტიპის“ ფესტივალი არ სრულდება მსხვერპლის გარეშე“. – განაცხადა ბაღათურიამ. (რეპორტიორი)

# რა აქციები იგეგმება ანაკლიაში „კაზანტიპის“ წინააღმდეგ...


ლევან ჩაჩუა

**„ალიას“ ყოფილი პოლიტპატიმარი, ლევან ჩაჩუა ესაუბრა:**

**— ბატონო ლევან, რა უნდა ხელისუფლებას, ხალხის მოთმინებას ცდიან თუ გარყვნილებას აჩვევენ? როგორც ვიცი, „კაზანტიპის“ წინააღმდეგ აქციას გეგმავთ. არ ელოდებით, რომ პროვოკაციები იქნება?**

– საერთოდ, ბოლო დროს, თამაშის ახალი წესები შეინიშნება, რომელსაც ზოგიერთი ვერ და ზოგიერთიც არ ამჩნევს. იმისთვის, რომ „ოცნების“ პოლიტელიტა სუფთად გამოიყურებოდეს, ანტიდისკრიმინაციული კანონის ინიციატორობაცა და მომზადებაც რესპუბლიკელებს დაჰბრალდათ, თუმცა ეს მათ სრულიად არ ანაღვლებთ, მედიით უზნეობის ყოველდღიური ტირაჟირება და ანტიეროვნული პოლიტიკა მხოლოდ ნაციონალებს მიეკუთვნება და ასეთ შეხმატკბილებულ პოლიტიკურ ჭიკჭიკში ეს ხელისუფლება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე თავისი ნებით როგორ წამოვა? დღეს ბევრი პოლიტიკოსი საუბრობს ვადამდელ არჩევნებზე, მაგრამ თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანებაზე მიდგა საქმე, სიაში ადგილების ვერგაყოფის გამო ერთმანეთს ისე დაუპირისპირდებიან, რომ აღარც მინდა ამის საზოგადოებისთვის შეხსენება, მითუმეტეს ამ ადგილობრივი, სამარცხვინო არჩევნების შემდეგ, რომელზეც ქართველობის 65% არ მივიდა. საწყის ეტაპზე „კაზანტიპი“ მხოლოდ სერფინგის მოყვარულთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, სადაც საღამოობით დროს ატარებდნენ. მოგვიანებით ნიკიტამ (ფესტივალის დამაარსებელი) გადაწყვიტა სეზონის დასასრულის აღნიშვნისთვის შეემატებინა ტექნო და ტრანს მუსიკა, დღეს კი „კაზანტიპი“, თამამად შეიძლება ითქვას, სექსტურიზმისა და ორგიების შესაკრებ ადგილს წარმოადგენს და ვისაც ამის არ სჯერა შევიდეს გუგლში, აკრიფოს კაზანტიპ სეხ მოვიეს, მიუთითოს ვიდეო (+18) და ნახოს, ოღონდ ვურჩევ, ბავშვები მოარიდოს ეკრანს. აქ დიდ ფულზეა საუბარი, იარაღით ვაჭრობის შემდეგ ყველაზე მომგებიან ნარკოტიკებისა და სექსბიზნესიდან მოპოვებულ უზარმაზარ თანხებზე. თანაც უკვე ლეგალურად, ყოველგვარი გათეთრების საჭიროების გარეშე, საკუთარი შემოღობილი ტერიტორიით, სახელმწიფო ატრიბუტიკითა და კონსტიტუციით. ამიტომ სიგუას მსგავსი ახალგაზრდების რამდენიმე თვით განტევების ვაცად პოსტზე დანიშვნა და მერე მისი განთავისუფლება (სავარაუდოდ, გარკვეული წახალისებით) რა პრობლემას უნდა წარმოადგენდეს?!.

14 აგვისტოს ანაკლიაში დაგეგმილია როგორც ადგილობრივი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიის, ასევე სხვადასხვა ეპარქიის წარმომადგენელი სასულიერო პირებისა და მრევლის ერთობლივი წირვა. თბილისიდანაც გავემგზავრებით, იმედია სხვა ქალაქებიც შემოგვიერთდება და ერთად შევთხოვთ უფალს, რომ დაიფაროს ივერია უსჯულოებათაგან.

**— წირვის ჩატარების გამო, ამხელა ბიზნესპროექტზე უარს არავინ იტყვის. თუ მაინც ჩაატარეს, რას აპირებთ?**

– შეიძლება, ისეთი რამე მოხდეს, რომ ამ ფესტივალის გამო ხელისუფლება საერთოდ დაემხოს. ალბათ, იცით, კამასუტრას დღეები რომ იმართება მალაიზიაში. ხომ ნახეთ, რა მოუვიდა მალაიზიას, კინაღამ გადარეცხა ოკეანემ. ყველაზე დიდი სექსინდუსტრია მანდ კეთდება. არასრულწლოვან ქალიშვილებს ყიდულობენ ბიზნესმენები, რომ მათთან პირველი ღამე ჰქონდეთ. ჩვენ გვეშინია, რომ ასეთი რამ არ მოხდეს, თანაც კოლხეთის დაბლობზე, დიდი ტალღა რომ მოვიდეს, ანაკლიას საერთოდ წალეკავს. გვეშინია ამის და გავაფრთხილებთ მოსახლეობას. ზოგი ფულის გამო არის ამაზე წამსვლელი და ყველაფერს ხელს აწერს. თუ აქციით ვერ მივაღწევთ მიზანს, დ ა ვ ი წ ყ ე ბ თ ს ა პ რ ო ტ ე ს ტ ო გამოსვლებს. მშვიდად ეს ფესტივალი რომ ვერ ჩაივლის, ეს არის რეალობა. ვითომ ტკბილი ლუკმა 30 ვერცხლად ნაყიდი საკვები იქნება ყველა ოჯახისთვის, ასე ნაშოვნი ფული არავის შეერგება. ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ ეს ლუკმა ყელში გაეჩხიროთ და ვერ გადაყლაპონ. ეს ყველაფერი გროვდება ღვთის წინაშე და სადღაც გახეთქავს. ასე ეგონათ, „ნაციონალებსაც“, 30 წელი იმეფებდნენ და მეც მეუბნებოდნენ ციხეში ყოფნის დროს, რისი იმედი გაქვსო, ახლა ხომ ხედავთ, ახალაია და მერაბიშვილი ციხეში სხედან. უფალი მეფობს და ერთი რამ იცოდეს ხელისუფლებამ, ცოდვას მძიმე შედეგი მოჰყვება, თუ ამას დაუშვებს, ცუდად დაამთავრებს. ხელისუფლებას ახლა სიგუას მოხსნით თამაში არ გაუვა, ვინც ღვთის წინაშე ითამაშა, ყველამ კისერი მოიტეხა. ეს თემა პოლიტიკის სფეროს სცდება.



**„თუ აქციით ვერ მივაღწევთ მიზანს, დავიწყებთ საპროტესტო გამოსვლებს. მშვიდად ეს ფესტივალი რომ ვერ ჩაივლის, ეს არის რეალობა. ვითომ ტკბილი ლუკმა 30 ვერცხლად ნაყიდი საკვები იქნება ყველა ოჯახისთვის, ასე ნაშოვნი ფული არავის შეერგება. ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ ეს ლუკმა ყელში გაეჩხიროთ და ვერ გადაყლაპონ“**

**— ერთ-ერთ ინტერვიუში მითხრეს, რომ საქართველოს 500-მდე კანონის მიღება მოუწევს, მათ შორის ისეთებიც იქნება, რომელთა გამოც შეიძლება ხალხი ქუჩაში გამოვიდესო. ამ კანონების შესახებ გსმენიათ რამე?**

– ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, საქართველომ აიღო ვალდებულება, საკუთარი საკანონმდებლო ბაზა ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს, ანუ საქართველო ვალდებულია იხელმძღვანელოს ევროპული კანონებითა და რეგულაციებით.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ევროპაში. ევროპაში უკვე საკანონმდებლო დონეზე მიმდინარეობს მსჯელობა მშობლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ იმ შემთხვევაში, თუკი ის ბავშვს ადრეული ასაკიდანვე შეატყობს ჰორმონალური დარღვევებით გამოწვეულ სექსუალურ გადახრებს და შვილის განკურნების მიზნით ექიმს მიაკითხავს. ეს მას ბავშვთა უფლებების დისკრიმინაციად შეიძლება ჩაეთვალოს და ეგრევე ამუშავდება უკვე მოქმედი „იუვენალური იუსტიცია“, რომელიც მშობლებსართმევს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ საკუთარი შვილების აღზრდა-განათლება და რელიგია. მაგალითად, გერმანიაში მეოთხე კლასელი ბავშვის მამა მხოლოდ იმისთვის დააპატიმრეს, რომ მისმა შვილმა სექსუალური განათლების 2 გაკვეთილი გააცდინა. ბავშვი ვერ უძლებდა იმ გარყვნილების ყურებასა და სმენას, რასაც ამ გაკვეთილებზე სთავაზობდნენ. ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციით, პედოფილია 1965 წელს სქესობრივ გარყვნილებათა ჯგუფს მიაკუთვნეს, 1973 წელს „გადახრად“ დაადგინეს, ხოლო 1993 წელს – „სექსუალური ორიენტაციის დარღვევად“.

ევროპაში უკვე მიდის საუბარი პედოფილიისა და ინცესტის სექსუალურ ორიენტაციად გამოცხადებაზე და ჰომოფობიის მსგავსად უკვე გაჩნდა ტერმინი – ინცესტოფობია. იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ გვეყოლება მარიონეტი ხელისუფლება, ის ვერ დაიცავს ჩვენი ერის სულიერ-ზნეობრივ ინტერესებს და ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ შესაბამისობაში მოიყვანს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობას და როგორ აჰყვება დროისა თუ უცხოელი „ბოსების“ ფეხის ხმას. ქვეყანა არ არის მხოლოდ მიწა, ცა და ზღვა, ქვეყანა არის ხალხი, ჩვენ, აქ მაცხოვრებელი ადამიანები, საკუთარი რელიგიით, მასზე დამყარებული ცნობიერებითა და სულიერ-ზნეობრივი ფასეულობებით, ტრადიციებით, ისტორიითა და კულტურით. ამას ნაწილობრივ ითვალისწინებდა ჩვენი კანონმდებლობა, თუმცა რა ბედი ელის მას და როგორ მოვა შესაბამისობაში ევროპულ კანონმდებლობასთან ის კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არის გაფორმებული (ე.წ. კონკორდატი), ღმერთმა უწყის.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შსს-მ ველურად მზარდი კანაფი გაანადგურა



შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ბრძანების საფუძველზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ნარკოტიკული საშუალებების განადგურების ღონისძიება სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ერთდროულად ჩატარდა. შსს-ს სამხარეო სამმართველოების თანამშრომლებმა ველურად მზარდი კანაფი შესაბამისი წესების დაცვით გაანადგურეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, სამართალდამცველებმა აღნიშნული რეგიონების სხვადასხვა სოფლების მიმდებარე ტერიტორიებიდან ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი სულ 28 ტონა და 373 კგ მცენარე გაანადგურეს. (ნიუპოსტი)

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „პატრიარქთან რამდენჯერმე ვიკამათე, თუმცა ეს ეტიკეტის ნორმებს არასდროს გასცდენია“



ბრალდებულ გიგი უგულავას განცხადებით, მას უწმინდესთან რამდენჯერმე კამათი ჰქონდა.

„უწმინდესთან ურთიერთობაში მოქმედი პოლიტიკური სპექტრისგან, ჩემიანსხვისიანისგან ის განმასხვავებს, რომ მე მას თანამდებობიდან, ანუ პოლიტიკიდან არ ვიცნობ. პატრიარქის ღვაწლს დიდად ვაფასებ. ამასთანავე, სტანდარტული ქართველი პოლიტიკოსის ურთიერთობა, რაც მხოლოდ სადღეგრძელოებით შემოიფარგლება, არასოდეს მომწონდა და არც დამიმალავს მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მრავალგზის ვყოფილვარ მის სუფრასთან თამადა. მქონია მასთან კამათი, არ დავთანხმებივარ მის აზრს, მაგრამ ეს არასდროს გასცდენია ეტიკეტის ნორმებს, რაც დამაბრალეს კიდეც. მინდა მას ჯანმრთელობა ვუსურვო, რაც დღეს როგორც არასდროს, ისე სჭირდება ეკლესიას და ქვეყანას კიდევ უფრო“, – განაცხადა უგულავამ. (ფრონტნიუსი)



კაფეში:

– ოფიციანტო! მომიტანეთ, თუ შეიძლება, ბინძურ თეფშზე ამოყრილი მოუხარშავი კარტოფილი, აყროლებული სოსისი, დაობებული პური და გაყვითლებული სალათი.

– უკაცრავად, მაგრამ ასეთი უცნაური შეკვეთის შესრულება არაფრით შემიძლია.

– რატომ? გუშინ ხომ შეძელით?!

*****

– ისეთს, როგორიც მე ვარ, ველარასოდეს იპოვნი!

– ისეთს, როგორიც შენ ხარ, ალარასოდეს მოვძებნი!!!

*****

შეშინებული მდივანი დილაადრიან შეფის ოთახში შევარდა:

– კონსტანტინოვიჩ, სულ ახლახან პირველ სართულზე შეგხვდით, ტუალეტში...

– ნინიკო, ნუ ნერვიულობ, ჩემს ძმას შეხვედრიხარ, ტყუპისცალი მყავს, არ ინერვიულო.

– კარგით, გასაგებია... ესე იგი, გამოდის, რომ დილის სექსი უკვე გვქონდა!..

*****

სასამართლო. ადვოკატი მოსამართლეს მიმართავს:

– თქვენო ღირსებავ, როგორც ცნობილია, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა საიუველირო მაღაზიიდან ბრილიანტები მოიპარა. მაგრამ თქვენო ღირსებავ, ქურდობა არა თავად, არამედ მისმა ხელმა ჩაიდინა. ჰოდა, ამ გარემოების გათვალისწინებით, მითხარით, რატომ უნდა აგოს მან პასუხი?!

მოსამართლეს გაეცინა და უპასუხა:

– კი, ბატონო! თუ ასეა, მის ხელს 3-წლიან პატიმრობას ვუსჯი, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს კი ვაძლევ უფლებას, ან თან გაჰყვეს მას, ან – არა. საქმე დახურულია!

ახლა ადვოკატმა და მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა გაიცინეს – ადვოკატმა ქურდს ხელის პროთეზი მოხსნა და სასამართლოს დარბაზი ორივემ ერთად დატოვა...

*****



– ექიმო, პიცა კოლოფთან ერთად შევჭამე და მოვკვდები?

– აბა, რა გითხრათ – ოდესღაც ყველა მოკვდება.

– ყველა მოკვდება? ღმერთო, ეს რა ჩავიდინე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## საინტერესო ფაქტები ფულის ერთეულების სახელწოდებების შესახებ



სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ფული ადამიანს ძალიან ბევრ რამეში სჭირდება, თანაც, ძალიან და სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ მთელ მსოფლიოში უამრავი სხვადასხვა დასახელების, ზომის, წონისა და გაფორმების მქონე კუპიურა არსებობს, რომელთაგან შედარებით ყველაზე უფრო ცნობილების თავისებურებებზე ქვემოთ გიამბობთ:

– ვიდრე მიმოქცევაში პირველი მონეტები გამოჩნდებოდა, ძველი ევროპელები გადახდის საშუალებად სელს იყენებდნენ, რისი მიზეზიც გახლდათ ის ფაქტი, რომ ეს მცენარე ევროპაში არ ხარობდა.



– ძველ დროში, მარკა ფულის ერთეული სულაც არ ყოფილა, იგი წონის ერთეული გახლდათ. თავად სიტყვა კი ლათინური წარმოშობისაა და „საზღვარს“ ნიშნავს.

– ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რუსული ფულის ერთეულის, „რუბლის“ სახელწოდება მუსლიმანური მოცულობის ერთეულიდან, „რუბიდან“ მომდინარეობს, რომელიც 4 ლიტრს უდრიდა. პეტრე I-ის პერიოდში, სპილენძის რუბლს კვადრატული ფორმა ჰქონდა და დაახლოებით ნახევარ კილოგრამს იწონიდა. მე-14 საუკუნეში, 1 რუბლად 200 ციყვის ტყავის შეძენა შეიძლებოდა, მე-18 საუკუნეში კი – 41 კილოგრამი მარილის.



– რუპია, ინდური ფულის ერთეული, მომდინარეობს სიტყვიდან „რუპა“, რაც ითარგმნება, როგორც – „საქონელი“, „პირუტყვი“. სწორედ მსხვილფეხა საქონლით ხდებოდა დიდი ხნის მანძილზე ინდოეთში ალებმიცემობა.

– ებრაული შეკელი მონეტისა და წონის ძველებრაული სტანდარტი გახლავთ. მისი სახელწოდება „სიკლიდან“, უძველესი ბაბილონის ფულადი ერთეულიდან მომდინარეობს.

– იაპონური იენი, ისევე, როგორც ჩინური იუანი, სათავეს იაპონური და ჩინური სიტყვიდან „მრგვალი მონეტიდან“ იღებს. დიდი ხნის მანძილზე, იენსა და იუანს ნიჩბის, ცულის ან საფლავის ფორმა ჰქონდა, შემდგომში კი ფულის ერთეულზე ევროპული გავლენა გავრცელდა და მრგვალი ფორმა მიიღო.

– ქაღალდის პირველი დოლარები ამერიკაში 1776 წლიდან გამოჩნდა, რომელიც თავიდანვე მწვანე შეფერილობის გახლდათ, როგორც დღეს. ამერიკელები, მას მოფერებით „მწვანე ზურგს“ **(green backs)** უწოდებდნენ, საიდანაც მომდინარეობს კიდეც დოლარის არაოფიციალური დასახელება „ბაქსი“.

***1001facts.ru***

## ნეტავ, რაში გამოიყენებენ ამერიკელები მანათობელ... სპერმას?



თანაც, საქმე ეხება... ბუზების სპერმას, კაცო!..

როგორც ირკვევა, ამერიკელმა მეცნიერებმა ბუზების გენეტიკურად მოდიფიცირებული სპერმა შექმნეს, რომელიც საკმაოდ პიკანტური თვისებით გამოირჩევა – ამ საზიზღარი მწერების სპერმა წითლად ან მწვანედ ანათებს.

კონტინენტსგალმელები ამტკიცებენ, რომ მათი მიღწევა მეცნიერების ხუმრობა სულაც არ არის და რომ მანათობელი სპერმატოზოიდების დახმარებით, შესაძლებელი გახდება თვალის მიდევნება წარსულში უცნობი იმ პროცესებისთვის, რომლებიც კვერცხუჯრედების განაყოფიერებისას ხდება.



– ამ მიგნებამ, წესით, რეპროდუქტიულ ბიოლოგიაში ნამდვილი გარღვევა უნდა გამოიწვიოს, – ტრაბახობენ ამერიკელი მეცნიერები.

აბა, რაღა გვიჭირს აწი, ბუზების სპერმის დახმარებით ადამიანებს თუ რამე გვეშველება, არა?..

***etotupo.tu***



## მოლდაველ ჩინოვნიკებს თანამდებობაზე დანიშვნამდე ფსიქიატრის დასკვნის აღება მოუწევთ

როგორ გაუმართლათ მოლდოვის მოქალაქეებს და რა სამწუხაროა, რომ მსგავსი აზრი ჩვენთან არავის მოსდის თავში, თორემ, ხომ თქვენც კარგად იქნებოდით, ჩვენც და ტრიფონიაც აღარ ირბენდა მელიტოპოლში ზურგზე მოგდებული კარტოფილის ტომრით, არა?!

როგორც ირკვევა, გასულ დღეებში მოლდოვის მთავრობამ მიიღო შესწორება კანონში სახელმწიფო მოხელის მოვალეობებისა და სტატუსის შესახებ და ფსიქიატრიული დასკვნის წარდგენა ყველასთვის სავალდებულო გახადა.

ჰოდა, თუკი მომავალი თანამდებობების პირები ექიმების მოსყიდვას ვერ შეძლებენ, აღნიშნული ცვლილება მოლდოვის რიგით მოქალაქეებს მართლაც დიდ შვებას მოუტანს: შემოწმდებიან როგორც პარლამენტში ან სხვა სახელმწიფო უწყებაში მოხვედრის მსურველები, ისე პრეზიდენტობის კანდიდატები და თუკი სპეციალისტი მის მდგომარეობას არ მოიწონებს, პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაესმება, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია!..

***lenta.ru***

## ბავშვობაში ძილის გატეხას ასაკში ალკოჰოლიკობა და ნარკომანობა მოჰყვება?!



მეცნიერებმა დაასახელეს კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რატომ უნდა მიაქციონ მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება ჩვილებისა და მოზარდების ძილის ხარისხს.

საქმე ისაა, რომ ბავშვები, რომლებსაც ძილი არ უვარგათ, ექცევიან რისკის ისეთ არასასიამოვნო ჯგუფში, რომლის ბოლოც ალკოჰოლიკობა ან ნარკომანობაა.

ამ თემაზე კვლევა აიდაჰოს შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომლებიც 386 თინეიჯერზე დაკვირვებას რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდნენ.



კვლევის ბოლოს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოზარდები, რომლებიც ბავშვობის ასაკში ძილთან დაკავშირებულ პრობლემებს განიცდიდნენ, თინეიჯერობისას კიდევ უფრო რთულ სიტუაციაში ვარდებოდნენ: იწყებდნენ ალკოჰოლის დიდი რაოდენობით სმას, სიგარეტის მოწევას და რაც ყველაზე მეტად შემზარავია, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. გარდა ამისა, ასეთ მოზარდებს მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემებიც უფრო ხშირად ექმნებათ, ვიდრე დანარჩენებს.

სპეციალისტების განმარტებით, ყველაზე ხშირად, შფოთვები ძილის დროს 3-დან 5 წლამდე ასაკის პატარებს უჩნდებათ და თუ ამ უსიამოვნების გამოსწორებაზე მშობლები თავის დროზევე არ იფიქრებენ, შედეგი უკიდურესად ნეგატიური იქნება. ამასთანავე, რისკის ჯგუფში შედიან არა მხოლოდ ვაჟები, არამედ გოგონებიც.

– ბავშვებს მინიმუმ 10 საათი მაინც უნდა ეძინოთ. ეს კანონია და ყველაზე მთავარია, რომ ძილი მშვიდი იყოს, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

***mamindom.ru***

## ინდოეთში დაბადებულ ჩვილს გული და თირკმლები სხეულს გარეთ განუვითარდა



ახალშობილი, უიშვიათესი თანდაყოლილი დეფექტით, ამ ცოტა ხნის წინ ინდოეთში დაიბადა, რომლის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია და ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩვილის გადარჩენა შეძლონ.

სტატისტიკის თანახმად, ჩვილები, რომელთაც შინაგანი ორგანოები სხეულის გარედან უვითარდებათ, მილიონიდან 5-7 შემთხვევაში იბადებიან და სამწუხაროდ, მათი შველა ყოველთვის ძალიან რთული საქმეა.

– ეს არის ძალიან, ძალიან იშვიათი შემთხვევა და დარწმუნებულები არ ვართ, რომ ორგანოების თავიანთ ადგილზე დაბრუნების ოპერაციას წარმატებით ჩავატარებთ, – ამბობენ ინდუსი ქირურგები.

იმისთვის, რათა ჩვილს სიცოცხლე შეუნარჩუნონ, ექიმებმა ის სპეციალურ კამერაში მოათავსეს, თუმცა პროგნოზები, სამწუხაროდ, მაინც არასაიმედოა. სავარაუდოდ, ინდუსებს საზღვარგარეთელი კოლეგების დახმარება დასჭირდებათ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მსგავსი შემთხვევა 2006 წელს ამერიკაში დაფიქსირდა – ჩვილს სხეულის გარეთ გული ჰქონდა განვითარებული. მართალია, მას ოპერაცია წარმატებით კი ჩაუტარდა, მაგრამ ექიმების თქმით, სრულყოფილად ცხოვრებას ასეთი დეფექტის მქონე ადამიანი ვერ შეძლებს.

***factroom.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ბესიკი. „...ტატანო“
2. თევზის ჯიში
3. კოვბოის ქამანდი
4. მსახ. ...-ბობ თორნ-ტონი
5. ძვ. ეგვიპტის ღვთა-ება
6. ხრამუნა პური
7. ავტო-ტურის-ტული ბანაკი
8. მრავალთვალი-ანი გო-ლიათი (ბერძ.მით)
9. კუ-ტიურიე ფანი ...
10. მეცნიერ. კრავის ცოცხებს
11. ღია საშინაო ფეხსაც-მელი
12. მსახიობი სოსო ...
13. ქალაქი ყირიმში
14. ისრაელის დედაქა-ლაქი
15. ბოსტ-ნეული სალათში
16. კვაზიმოდო: ენტონი ...
17. „ქალი კამელი-ებით“ მარგარიტა ...
18. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
19. დია-გეტის საქარ-თველო პოემიდან
20. ინ-დიელის ფეხსაც-მელი
21. ადა-მიანის ზურგის ნაწილი
22. ტყის ფრინველი
23. გრადუ-სიანი სითხე
24. ერთიანი ნარდში
25. ნარ-კოტიკული ნივთი-ერება
26. მსახიობი ... ბერი
27. მსახიობი ჯუდ ...
28. ნახ. კუნძული ეგეო-შში
29. ... ტუმო-ნენი
30. ლომის ნაშიერი
31. მხ/ფ „მხიარული ...“
32. ტუ-ალეტის სურნე-ლოვანი წყალი
33. ველური ძაღლი
34. ბევე-ასებრ მიღებული ბუნებრივი რესური
35. პოეტი ლადო ...
36. „მონტე-კრისტო“
37. რა ერქვა თბილისს 1936 წლამდე
38. ქურცკი
39. მაინ რიდის სათავგად. რომანი
40. ფოლკ-ლორისტი ვახუშტი ...
41. ბალეტ „დონ კიხოტის“ კომპოზ.
42. რიტ-მისათვის დაშვე-ბისათვის საგნები
43. სიმღერის საზომი ხელსაწყო
44. სოფელი. დაიბადა ვაჟა-ფშაველა
45. ტყის სული ნების ქურებით
46. პალტოს მოკლე ფასონი
47. ფრანგი მხატვარი
48. გვიის სრული შემდ-გენლობა
49. მი-ნერალი: გოგირდ. და რკი-ნის ნაერთი
50. პირო-ბითი ენა.მაგ: ქურდული ...
51. გოგოლის მოთხ-რობა
52. მსახიობი ... დევისი
53. სამიანი ნარდში
54. ადმინისტ-რაციული ერთეული ძველად
55. მსახიობი ... ბლუმი
56. ლომბის ოჯახი
57. ნიშნავს ცივს
58. ბილიარ-დის ჯოხი
59. კვარცხლ-ბეკი
60. ოხუნჯი მოლა ...
61. სომხეთი რევოლუ-ციონერი ... ტერ პეტროსიანი, იგივე კამო
62. მხ/ფ „შვიდი ...“
63. მომ-ღერალი ... სონაძე
64. კუ-ტიურიე კრისტიან ...
65. რომაელი იმპერა-ტორი
66. სტალინის დედა
67. მატჩის თანაბარი ანგარიში
68. პიანინოზე ნოტების დასადები
69. გულ-მკერდის ძვალი
70. რეზინის ფეხსაცმელი, რომელსაც ფეხსაცმელზე ამოიცმე-ვენ ხოლმე
71. დაბალ-ფასიანი, ანუ ...
72. „ვაშლდარტყ-მული ფენიქსი“
73. ძვ. გასანა-ფებელი საშუალება
74. 10 მილი-მეტრი
75. ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
76. ალგ-ზნებული მხიარუ-ლება
77. მხატვარი ოგიუსტ ...
78. მხ/ფ „ჭრიჭინა“ დიდო ააბზიძე
79. თავ-თხელი ადგილი მდინარეში
80. ისტო-რიული ქალაქი ბელო-რუსში
81. დაწნუ-ლი ქაქარი
82. ჯუჯა გერმან. ზღაპრებში
83. რძის პროდუ-ქტი პიტნით
84. მწერალი ალბერ ...
85. გრაფი დე ლა ფერი, იგივე ...
86. ჭრილობა
87. მიწის ფართობის ერთეული
88. იტალიური სპორტ. ავტომო-ბილი
89. ცეცხლ-სასროლი იარაღი
90. მისი დედაქა-ლაქია ოტავა
91. ტბა აფრიკაში
92. არაქათი
93. ოკე-ანოგრაფი ჟაკ-ივ ...
94. ბუდისტი მონაზო-ნები
95. ჭავ-ჭავაძ. „ნა-ამბობი“
96. ებრაული საკულტო ტაძარი
97. მხატვარი რაფაელ ...
98. გაბა-შვილი. „... და-დაიჩნება“
99. გაუბ-შოვებული ჰაერი, ანუ ...
100. ჯუჯა კამეჩი
101. მსახიობი ... მას-ტროიანი
102. ბუმბულის ცალა
103. ტაი-ლანდის ძველი სახელწ.
104. რეჟ-ისორი რობერტ ...
105. მსახიობი ჯონ ...
106. ვაჟა-ფშაველა. „... ქუ-თელაური“
107. შხამიანი ხე
108. კაბ-ლირების მოთხ-რობა
109. ვენესუ-ელის დედაქა-ლაქი
110. მსახიობი მეგ ...
111. იარაღის თოფის გამოსაკ-რავი
112. ძვ. ცეცხლ-სასროლი იარაღი
113. მსახიობი ... მერ-რიმორი
114. ქალაქი მოსკოვ-თან
115. პოეტი ... მიქ-ელაძე
116. პოლიცი-ელი ძველად
117. სახლე ჩაცმუ-ლობაში
118. პირის ღრუს თალი
119. ომის ღმერთი ბერძ. მითში
120. ქვის ლობე
121. ინგ-ლისელი ბუნების-მეტყველი
122. ბერძ. შუმერული კარტო-ფილი
123. დარ-ტანიანის მეგობრ-ური მხარე
124. მხ/ფ „ნატვრის ...“
125. ეპილეფ-სია
126. მაღალ-მთიანი სოფელი დაღესტანში
127. სრული გამარჯ-ვება ძიუდოში
128. რუსული ავტომო-ბილი
129. წყლის მყარი ფორმა
130. ნერვული სისტემის დაავა-დება
131. ლოუკ ბესონის ფილმი
132. ომის ნითელი სალდავი
133. ქალი, დიაცი
134. კრიმინალი ნამდვ-ვარი
135. პირბადე
136. სერიალი „... და ლუდვი“
137. ღორის ბალანი
138. მხატვარი ... გოგი
139. მხატვარი სალვადორ ...
140. მსახიობი ... მეფი
141. სმენის ორგანო
142. „... საყვარე, ანუ მჭადარე მეტა“
143. ჩვილი ბავშვი
144. უბანი თბილისში
145. მწვანის ღუმელი
146. ოლქაი ზუბიროთ
147. პოეტი ... ახმატოვა
148. ... ძედური
149. კომ-პოზიტორი ... ავერ-ბაძე
150. რძის პრო-დუქტი
151. „... ჩემო ვენახო, შენდ წლიანად ვერ გნახო“
152. ალ. ბასილაშვილის ანსამბლი
153. ყვავილი







1. ერთ-ერთი მუშკეტერი
2. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
3. ლუდის მასალა
4. ერთგვარი პეპელა
5. ისლანდიის დედაქალაქი
6. გაზეთების ჯიხური
7. ზღვის ძუძუმწოვარი
8. ვაჟიშვილი
9. მსახიობი ... რიშარი
10. მუხის ქერქი
11. პოეტების საკრებული მთა
12. ფურცელი ძველ ეგვიპტეში
13. ყურძნის ჯიში
14. ნაჭუჭიანი ნაყოფი
15. პერუს დედაქალაქი
16. ბაბუა, ანუ ...
17. სამკურნალო მცენარე
18. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
19. ტრანსპორტის სახეობა
20. ისრის წვეტი
21. მსახიობი ჯენიფერ ...
22. ანჩხლი
23. მადაგასკარის დედაქალაქი
24. შვიდი დღე
25. წვეტიანი გოდორი
26. ღორის ბალანი
27. მტაცებელი ფრინველი
28. ყვავილი
29. ესპანელი დიდებული
30. ხორთუმიანი ცხოველი
31. პატარა მრგვალი პური
32. პირის ღრუს თაღი
33. ერთგვარი კანფეტი
34. პოეტი მუხრან ...
35. ჩაით გაშენებული ადგილი
36. წყლის გრაციოზული ფრინველი
37. ქართ. ხალხური ზღაპარი
38. მონადირე ფოტოგრაფი
39. ... პუგაჩოვა
40. მსახიობი ... რიოსი
41. ცურვის სტილი
42. ხილიდან გამოწურული სითხე
43. მსახიობი ... ბენინგი
44. ოპერა „ევგენი ...“
45. თევზის ჯიში
46. მარილიანის გემო
47. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ისტორიულ ჯავახეთში
48. „... ვოდევილები“
49. მხ/ფ „მისის ...“
50. რეჟისორი ... ვან სენტი
51. მდიდარი მუსლიმანის სახლში მისი ცოლებისთვის გამოყოფილი სახლი
52. მხ/ფ „ქრისტეს ...“
53. შტატი აშშ-ში
54. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
55. გველის ხმიანობა
56. მწერალი ასტრიდ ...
57. ჩოგბურთელი მარტინა ...
58. კურორტი ბულგარეთში
59. მატყუარა
60. მზესუმზირის ტკბილეული
61. მსახიობი ... მონრო
62. მუსიკალ. ინტერვალი
63. მსახიობი მერილ ...
64. ლომების ოჯახი
65. სამშობლოს მონატრება
66. ესპანეთის დედაქალაქი
67. თვითმფრინავის ფანჯარა
68. პოლიტიკოსი ინდირა ...
69. მსახიობი ... პაჩინო
70. რიგზი ფილმში „ჯონი ...“
71. საკეტი
72. იგავები „ქილილა და ...“
73. ფსიქოლოგი ზიგმუნდ ...
74. საჭმელად ვარგისი სოკო
75. ხის სახლის მშენებელი
76. დასარტყამი საკრავი
77. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
78. ჟურნალისტი ... ჟორჟოლიანი
79. მამაკაცი ძიძა
80. რაველის სიუიტა
81. მსახიობი ... დელონი
82. ფრინველის სამწყვდევი
83. მწერალი ... ბრაუნი
84. მსახიობი ... დიტრიხი
85. სამკურნალო მცენარე
86. აქ ცხენები დარბიან
87. ტაბლეტი
88. მსახიობი ... როჯერსი
89. მუსიკალური ვიდეორგოლი
90. ქართ. ხალხური ზღაპარი
91. მხ/ფ „რიგითი ... გადასარჩენად“
92. ოცკაპიკიანი ძველად
93. ... გაფრინდაშვილი
94. მომღერალი ... სარაჯიშვილი
95. ინის საპირისპირო
96. თავაშვებული ღრეობა
97. ნაკურთხი წყალი
98. მით. მედუზა გველის თმებით
99. სახელმწიფო სამხ. ამერიკაში
100. წყლის მომჭერი
101. გემის მზარეული
102. სტუდენტის ხელფასი
103. მარცვლოვანი მცენარე
104. მხატვარი იოკო ...
105. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
106. მდინარე აფრიკაში
107. მსახიობი იულ ...
108. ლითონის ჩაფხუტი
109. ციებცხელება
110. სამატომიანი ჟანგბადი
111. ინერტული აირი
112. რეჟისორი ... ბრასი
113. პულსის ადგილი ხელზე
114. მსახიობი რობერტ ...
115. მარჯნის კუნძული
116. მოკრივე კასიუს ...
117. მსახიობი სოფი ...
118. ჯუჯა ცხენი
119. მსახ. ... ჯუგარნანიანი
120. ფუტკრების სახლი
121. კვირტებიანი ტოტები
122. ტალანტი
123. საძრახისი რამ
124. პიონერთა დასასვენებელი ადგილი
125. კარტოფილის კერძი
126. ქმრის ძმა
127. ქალაქი საფრანგეთში
128. მხ/ფ „თმახუჭუჭა ...“
129. რეჟისორი ... ფონ ტრიერი
130. თვალის ფერადი გარსის ანთება
131. ღლავი
132. თევზის ჯიში
133. ველური ვაზი
134. მსახიობი ... გიბსონი
135. ქალაქი გერმანიაში
136. მოსაწევად დახვეული თამბაქო
137. ყვავილი
138. „... ჭკუისაგან“
139. თევზში ფიჯნის ქვეშ
140. „ჩვენი დროის ...“
141. ღამის ფრინველი
142. მწერალი თეოდორ ...
143. ფრინველი ეგვიპტურ მითებში

პასუხები: 1. პორთოსი; 2. კვიპროსი; 3. ალაო; 4. ფარვანა; 5. რეიკიავიკი; 6. კიოსკი; 7. ლომვეშაპი; 8. ძე; 9. პიერ; 10. კორპი; 11. პარნასი; 12. პაპირუსი; 13. პინო; 14. თხილი; 15. ლიმა; 16. პაპა; 17. ასკილი; 18. სპიდომეტრი; 19. ველოსიპედი; 20. ზრო; 21. ლოპესი; 22. ავი; 23. ანტანანარივუ; 24. კვირა; 25. გიდელი; 26. ჯაგარი; 27. არწივი; 28. ტიტა; 29. იდალგო; 30. სპილო; 31. კვერი; 32. სასა; 33. ირისი; 34. მაჭავარიანი; 35. პლანტაცია; 36. გედი; 37. „ჭინჭრაქა“; 38. პაპარაცი; 39. ალა; 40. ოსვალდო; 41. კროლი; 42. წვენი; 43. ანეტ; 44. ონეგინი; 45. ციმორი; 46. მლაშე; 47. ვარძია; 48. ძველი; 49. დაუტფაიერი; 50. გას; 51. ჰარამხანა; 52. ვნებანი; 53. აიდაჰო; 54. მემ; 55. სისინი; 56. ლინდგრენი; 57. Nნავრატილოვა; 58. ვარნა; 59. ცრუ; 60. ჰალვა; 61. მერილინ; 62. კვარტა; 63. სტრიპი; 64. პრაიდი; 65. ნოსტალგია; 66. მადრიდი; 67. ილუმინატორი; 68. განდი; 69. ალ; 70. მნემონიკი; 71. ბოქლომი; 72. დამანა; 73. ფროიდი; 74. მიქლიო; 75. ხურო; 76. დოლი; 77. ტიან; 78. ნანუკა; 79. ლალა; 80. „ბოლერო“; 81. ალენ; 82. გალია; 83. დენ; 84. მარლენ; 85. ალოე; 86. იპოდრომი; 87. აბი; 88. მიმი; 89. კლიპი; 90. „წიქარა“; 91. რაიანის; 92. აბაზი; 93. ნონა; 94. ვანო; 95. იანი; 96. ორგია; 97. აიაზმა; 98. გორგონა; 99. არგენტინა; 100. ონკანი; 101. კოკი; 102. სტიპენდია; 103. ბრინჯი; 104. ონო; 105. კადრილი; 106. ნილოსი; 107. ბრინერი; 108. კასკა; 109. მალარია; 110. ოზონი; 111. არგონი; 112. ტინტო; 113. მაჯა; 114. პატინსონი; 115. ატოლი; 116. კლეი; 117. ლორენი; 118. პონი; 119. არმენ; 120. სკა; 121. ნეკერი; 122. ნიჭი; 123. აუგი; 124. ბანაკი; 125. პიურე; 126. მაზლი; 127. ნიცა; 128. სიუ; 129. ლარს; 130. ირიტი; 131. ლოქო; 132. ჭანარი; 133. უსურვაზი; 134. მელ; 135. ბონი; 136. სიგარა; 137. ია; 138. ვაი; 139. ლამბაქი; 140. გმირი; 141. ბუ; 142. დრაიზერი; 143. იბისი. იკითხება: ოქროს თევზი.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე შუქური (შუქრი), შვილი მანანა აბრამიძეები, შვილიშვილი სანდრო, შვილთაშვილები ნიკუშა, ანდრო ზაალიშვილები, მული საიდა აბრამიძე, რძლები ლიკა შავიშვილი, ლუიზა გეწაძე, ძმისშვილი მამუკა ნიკოლაიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იზოლდა (იზო) აბრამიძე-ნიკოლაიშვილი**

**პანაშვიდი:** 29, 30 ივლისს;
**დაკრძალვა:** 31 ივლისს, 14 საათზე;
**მისამართი:** ჭავჭავაძის გამზირი №24, ბინა 22 (მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული).

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## კუნთები გტკივათ? დახმარებას მცურავი მასაჟისტი აღმოგიჩენთ



რას ნიშნავს მცურავი მასაჟისტი, ძვირფასო მკითხველო და... ტფუი ეშმაკს და – გველს, აბა?!

როგორც ირკვევა, ინგლისში, კერძოდ კი სურეის საგრაფოს პარკის სტუმრებს შეუძლიათ მასაჟები სამეფო პითონისგან მიიღოს.

თურმე, პარკის ადმინისტრაცია სტუმრებს სთავაზობს, მიიღონ „გველური მასაჟი“ იმისთვის, რათა მოდუნდნენ, დაისვენონ და კუნთების ტკივილისგან განთავისუფლდნენ.

რამდენად მოდუნდებით, როცა სხეულზე უზარმაზარი პითონის სლიკინა კანს შეიგრძნობთ, ცოტა არ იყოს, გვიჭირს ამის წარმოდგენა, აი, სურეის პარკის მესვეურები კი ამტკიცებენ, რომ გველის მიერ ჩატარებული მასაჟები განსაკუთრებით სასიამოვნო და სასარგებლოა და რომ კლიენტურის მიღებას მხოლოდ წინასწარი ჩაწერით ახერხებენ, რადგან მსურველების რაოდენობა დღითი დღე მატულობს.

სხვათა შორის, „გველური მასაჟის“ გამოყენების მხრივ, პიონერებად ინგლისელების მონათვლა შეცდომა ყოფილა, რადგან დაძაბულობას ანალოგიური ხერხებით, თურმე, უკვე კარგა ხანია იხსნიან აზიის რამდენიმე ქვეყანაში და ეს მეთოდი საკმაოდ პოპულარული ყოფილა ისრაელშიც.

მასაჟი სამეფო პითონისგან 50 ფუნტი სტერლინგი ღირს, მაგრამ სულ უფასოც რომ იყოს, მოაშორონ, ერთი, აქედან!

***myjane.ru***

## ახალი თანამშრომლის მანქანა შეფის „პორშეს“ გვერდში... აფეთქდა



თუკი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი ხართ და თან ძვირფასი ავტომობილიც გყავთ, გირჩევთ, თქვენი „რკინის რაშის“ გვერდში რომელიმე თანამშრომლის ძველი მოდელი არ დააყენებინოთ, ხოლო თუკი რიგითი თანამშრომელი ხართ, მუშაობა ახალი დაწყებული გაქვთ და თან ავტომობილიც ძველი გამოშვებაა, გულით გირჩევთ, პირველი რამდენიმე თვე მაინც იაროთ ფეხით.

თუ არ დაგვიჯერებთ, ყველას ჯვარი წერია და შეიძლება, ერთ-ერთი ბრიტანული კომპანიის თანამშრომლების ბედი გაიზიაროთ: 29 წლის სარა დინი ფირმაში სულ რამდენიმე დღის იყო მისული, როცა თავისი 1992 წლის გამოშვება „ფოლკსვაგენ გოლფით“ შეფის 2008 წლის „პორშე 911“-ის გვერდში წამოიჭიმა და დიდ შარშიც გაეხვია: მის ძველ ავტომობილს უეცრად ცეცხლი მოედო და შეფის მანქანაც შეიწირა.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, სარა დინმა სამსახური დაკარგა, თუმცა შეფმა უფრო დიდი ზარალი განიცადა.

მოკლედ, რაც დასაწყისში გითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ისე მოიქეცით, რა...

***vesti.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**1 აგვისტო:** დღეს თქვენ, ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს სახლში რაღაცის შეცვლა მოგინდებათ. არ ღირს, ინანებთ.

**კურო 22.04-21.05**

**1 აგვისტო:** მოგება კარგი რამეა, თანაც პატიოსანი თამაშისას სასიამოვნოცაა. შეეცადეთ, საკუთარ სინდისთან მართალი იყოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**1 აგვისტო:** რაღაც უსიამოვნო საქმის კეთება მოგიწევთ. ხმამაღალ წუწუნს ნუ მოჰყვებით, როგორც ჩანს, განგება გამოცდას გიწყობთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**1 აგვისტო:** თუ რაღაცის ისე გაკეთება გინდათ, როგორც გსურთ და არა ისე, როგორც აგიხსნეს, თავი მოიკატუნეთ, ვითომ ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებთ, წინააღმდეგობას აზრი არ აქვს.

**ლომი 23.07-22.08**

**1 აგვისტო:** რაღაცა, რაც უკვე მყარად არის დამკვიდრებული და თქვენთვის ჩვეულია, გარკვეულ ცვლილებებს განიცდის და საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ მის ჩვეულ ფორმაში დასაბრუნებლად.

**ქალწული 23.08-22.09**

**1 აგვისტო:** რაც უფრო ნაკლებად მოითხოვთ ფორმალობის დაცვას, მით მეტი მოულოდნელობები მოხდება თქვენს თვალწინ და თქვენი მონაწილეობით.

**სასწორი 23.09-22.10**

**1 აგვისტო:** თუ თავს მოდუნების უფლებას მისცემთ და მოვლენებს არ გააკონტროლებთ, მწარედ ინანებთ. დღეს დასვენებას ვერ მოახერხებთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**1 აგვისტო:** დღეს მნიშვნელოვანი იქნება არა ის, რა იცით, არამედ ის, როგორ მიიღეთ ეს ცოდნა. თუ ამის გამჟღავნება არ გინდათ, არ თქვათ, არავინ დაგაძალებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**1 აგვისტო:** პრაქტიკულად ყველაფერი, რაც აქამდე გაღელვებდათ, შეგიძლიათ თვითდინებაზე მიუშვათ, თქვენი ინტერესები არ დაზარალდება, თუმცა ეს ერთ დღეს გაგრძელდება და დასვენებას მოასწრებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**1 აგვისტო:** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ დღეს რამეს კეთებაზე თავის შეწუხება არ მოგიწევთ. დღის ბოლომდე გაირკვევა, რომ ეს ვიღაცამ უკვე გააკეთა, ან ამის გაკეთება არც იყო საჭირო.

**მერწყული 20.01-18.02**

**1 აგვისტო:** სენტიმენტალური განწყობა დაგეუფლებათ, ამიტომ, სასურველია, ეს დღე მხიარული კამპანიისგან მოშორებით გაატაროთ.

**თევზები 19.02-20.03**

**1 აგვისტო:** შეიძლება დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეთ. ამიტომ, სანამ სახლიდან გახვალთ, დარწმუნდით, რომ გარეგნულად მოწესრიგებული ხართ.

## როგორ გამოიყურებიან, რეალურად, უცხოპლანეტელები?



მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად, არ არსებობს რაიმე სახის კონკრეტული მტკიცებულება არამიწიერ სიცოცხლესთან დაკავშირებით, მსოფლიოს ასტრობიოლოგები მაინც ყველანაირად ცდილობენ იმის დადგენას, როგორ შეიძლება გამოიყურებოდნენ დედამიწის მეზობელი პლანეტების მკვიდრები, რისთვისაც ისინი თანამედროვე ასტრონომიისა და ბიოლოგიის მეტ-ნაკლებად სანდო ფაქტებს იყენებენ.

მაგალითად, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ასტრობიოლოგი, დირკ შულც მაკუიმ წამოაყენა მოსაზრება, რომ იუპიტერის ყინულის საფარქვეშ შესაძლებელია რთული საკვები პირამიდების არსებობა, რომელთა საფუძველში ჩადებულია მიკრობები, იქაური ცოცხალი არსებები კი შეიძლება, 1 მილიმეტრსაც არ აღემატებოდნენ.



ფლორიდელი ბიოქიმიკოსი სტივენ ბენერი კი მიიჩნევს, რომ არ არის გამორიცხული, პლანეტა ვენერას გოგირდის შენაერთებით გაჯერებულ ატმოსფეროში გამჭვირვალე, მრგვალი არსებები სახლობდნენ.

ევროპაშიც თუ გადმოვინაცვლებთ, იქაური მეცნიერების საკმაოდ უცნაურ მოსაზრებასაც წავაწყდებით, რომელთა ვარაუდის თანახმად, სატურნის თანამგზავრ ტიტანზე შესაძლებელია გიგანტური ბაქტერიების არსებობა. ამასთანავე, ძალიან დაბალი ტემპერატურის გამო, ტიტანზე ყველა პროცესი ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობს და შესაბამისად, იქაურ ცოცხალ არსებებს ხანგრძლივი სიცოცხლის ბრწყინვალე შესაძლებლობა ექნებათ მიღებული.

რაც შეეხება ევოლუციის შედარებით მაღალ საფეხურზე მყოფ არსებებს, რომლებთანაც შესაძლოა, რადიოკავშირის დამყარებაც კი მოხერხდეს, მეცნიერების აზრით, მათი იერი უფრო მიახლოებული უნდა იყოს ადამიანთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი და მათი პლანეტების პირობები ერთმანეთს წააგავს, რაც პრინციპში, ნაკლებ სავარაუდოა და ვიდრე კაცობრიობა უშუალოდ არ შეხვდება ჰუმანოიდებს, მანამდე ყველაფერი კვლავაც ბურუსით იქნება მოცული, როგორც ეს დღეს არის...

***tainamira.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– მისმინე, აბრამ, რესტორანში უფასოდ ქეიფის გენიალური მეთოდი მოვიფიქრე.

– აბა, მიდი, მეც გამანათლე, მოშეს დავენაცვლე.

– მოკლედ, შედიხარ რესტორანში მაქსიმალურად გვიან. ოფიციანტს საუკეთესო კერძების შეკვეთას აძლევ, მოითხოვ დესერტს, კონიაკს, მოკლედ, რაც გაგიხარდება. როცა მიმტანები წასვლას დაიწყებენ, ერთ-ერთი მოვა და ფულს მოგთხოვს. ჰოდა, შენ უპასუხებ: „მე იმ მიმტანს გადავუხადე, ახლახან რომ წავიდა“...

მეორე დღეს ორივე რესტორანში გაქანდა. დაყარეს პურ-მარილი და გემოზე მოილხინეს.

ბოლოს მიმტანმა ანგარიშის გასწორება სთხოვა:

– უკაცრავად, მაგრამ უკვე ვიკეტებით და გთხოვთ, გადაიხადოთ.

მოშე:

– ჩვენ უკვე გადავუხადეთ თქვენს კოლეგას.

აბრამი:

– ჰო, მართლა – ხურდას კიდევ დიდხანს უნდა ველოდოთ?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.20